პარასკევი, 1918 წ. გიორგობისთვის 8 № 212

ყოველდღიური გაზეთი

პარასკევი, 1918 წ. გიორგობისთვის 8 № 212

ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უსახელო ან ფსევდონიმიანი მასალა უკანვე არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული გიმნაზია. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო".

**კონტორა**

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 1 მან., უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მოთავსებული განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადებანი მიიღება 20 სტრიქონზე ნაკლები. გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოიტანონ ღამის არა უგვიანეს 11 საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

## უკანასკნელი ცნობები

6 გიორგობისთვეს ბერლინიდან დასავლეთის ასპარეზზე გაემგზავრა დელეგაცია დროებითი ზავის ჩამოსაგდებათ.

შელდის და უაზის შუა გერმანელებმა უკან დაიხიეს.

ლე—შესნის აღმოსავლეთით და ბომონტის დასავლეთით გერმანელები მოწინააღმდეგეს იერიშებს იგერიებენ.

მაასის აღმოსავლეთ ნაპირებისაკენ მიისა და ვილოსის ამერიკელები დიდი იერიშებით შეუტიენ.

ბერლინში რადიოთი ელიან ვილსონის პასუხს გერმანიის უკანასკნელ ნოტაზე.

საკონსტიტუციო ფორმების გატარების შესახებ ვილჰელმმა მანიფესტი გაგზავნა კანცლერის სახელზე.

მოსკოვში რუსთა დეპუტატების საბჭოთა მე-6-ე ყრილობა გაიხსნა.

---

ღრმად მწუხარენი გერასიმე ქიქოძე ანეტა და შალვა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გიორგობისთვის 5-ს. ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის მეუღლე და დანარჩენთა ძვირფასი დედა

**მატრონა**

პანაშვიდი საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე პარასკევს, გიორგობისთვის 8-ს. გამოსვენება დილის 10 საათზედ საკუთარ ბინიდან (პეტრე დიდის ქუჩა № 24). 2-1857-2

---

ღრმად დამწუხრებული გრიგოლ ივანეს ძე ქიქოძე შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი

**მატრონა ქიქოძისა.**

პანაშვიდი საღამოს 7 ს. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე პარასკევს, გიორგობისთვის 8. გამოსვენება დილის 10 ს., საკუთარი ბინიდან (პეტრე-დიდის ქ. № 24). (2—1857—2)

---

ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ძვირფასი ძალუას

**მატრონე ქიქოძის**

გარდაცვალებას გულწრფელ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ტასო და გერონტი ქიქოძეები. 1—1

---

ღრმად მწუხარენი დები მარიამ იოსების ასული ჯავახიშვილისა ელისაბედ იოსების ასული საგინაშვილისა, ბარბარე იოსების ასული ლევინიაშვილისა, ელენე იოსების ასული ქმრით დავით დიმიტრეს ძე ციციშვილები და ძმა გიორგი იოსების ძე ცოლით მამაცაშვილები, აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებსა გარდაცვალებას ძვირფასის ძმის გენერალ მაიორის

**კონსტანტინე იოსების ძე მამაცაშვილისას.**

დაკრძალვა 8 გიორგობისთვეს. დილით 10 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. წირვა ქაშვეთის ეკლესიაში. (1—1860—1)

---

ღრმად დამწუხრებული მშობლები ქაიხოსრო როსების ძე ამირაჯიბი და მეუღლე მისი ელენე კონსტანტინეს ასული ბავშვებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელ და დაუვიწყარ შვილის და ძმის

**იროდკასი**

უდროოდ, 7 ნოემბერს, გარდაცვალებას. გამოსვენება პარასკევს, 8 ნოემბერს, დღისით 2 ნახ. საათზედ სადგომიდან (გრიბოედოვის ქ. № 28). დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზედ. (1—1861—1)

---

ღრმად დამწუხრებული მშობლები ქაიხოსრო როსების ძე ამირაჯიბი და მეუღლე მისი ელენე კონსტანტინეს ასული ბავშვებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელ და დაუვიწყარ შვილის და ძმის

**იროდკასი**

7 ნოემბერს უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება—პარასკევს, 8 ნოემბერს 2 ნახ. საათზე მშობლების სადგომიდან, გრიბოედოვის ქ. № 28. დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. (1—1861—1)

---

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე და ნინო ივანეს ასული თუმანიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მათი ძვირფასი ქალის, დის და შვილიშვილის

**ტასო თუმანიშვილის**

სულის მოსახსენებლად გარდაცვალების წლის თავზე შაბათს, 9 გიორგობისთვეს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში წირვის შემდეგ გარდახდილი იქნება პანაშვიდი. წირვა დილის 10 საათზე დაიწყება. (1—1750—1)

---

## სახელმწიფო თეატრი

**საოპერო დასი ევლახოვისა**

პარასკევს, 8 გიორგობისთვეს, მ. ალეშკოს, ტ. ორდას, ა. კონშინის, ო. მირონოვისას, ი. საბანინის და სხ. მონაწილეობით

**აიდა**

ოპერა 3 მოქმედებად და 7 სურ. მუსიკა ვერდისა.

**ფასები დაწეულია.** დასაწყ. სად. 8 ს.

შაბათს, 9 გიორგობისთვეს, ტ. საბინოვის და ბ. ზალიპსკის მონაწილეობით

**რომეო და ჯულიეტა**

კვირას, 10 გიორგობისთვეს, პირველი სადილად წარმოდგენა

**ევგენი ონეგინი**

---

## ქართული-ლატარია

* *
*

ტაძარი ჩვენთა ზვიად ქურუმთა
გაუქმებული იყო დღემდისა;
იქ სხვა ენაზე ისმოდა სიტყვა
და ლოცვის ცისა და ღვთისა.

—

დევნილი იყო ქართველი ერი,
დახშული ჰქონდა კარი სიბრძნისა,
მაგრამ მოგვხედა დიდმა განგებამ
და მოგვევლინა სიმბოლო ხსნისა

—

მოდით, მოზიდეთ თითო აგური
და აღშენდება დიდი ტაძარი,
იქ მზე ენთება მეცნიერების,
იქ იწკრიალებს რუსთაველის ქნარი. 2—56—2

---

კვირას, გიორგობისთვის 17-ს გამოვა

**ახალგაზრდა ეროვნულ დემოკრატების**

**ორ-კვირეული ჟურნალი**

# „ახალი ძალა"

**ფასი ორი მანეთი**

პრედაქტორობს კოლეგია

---

## 3 ნოემბერს

**სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილი**

ამით აცხადებს, რომ თბილისის სამხედრო პირველ საურსათო მთავარ საწყობში 17 ნოემბერს საჯარო ვაჭრობით გაისყიდება 120 ფუთი უვარგისი მზე, 300 ფუთი უვარგისი ქვა მარილი, 2000 ფუთი უვარგისი ხილის ჩირი და 1000 ცალა ყუთიანი ქუსტის ბიტონები. საჯარო ვაჭრობა დაიწყება დღის 12 საათზედ. დაწვრილებითი პირობების გაგება მსურველთ შეუძლიათ გაიგონ ზემოხსენებულ საწყობში და სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილში. (3—57—1)

---

## ახლად ჯარში გაწვეულ ახალგაზდათა საყურადღებოდ

საინჟინერო-სატეხნიკო სექციის უფროსი, ამით აცხადებს, რომ არსებულ რადიო-ტელეგრაფის შესასწავლათ საჭირონი არიან ახალგაზდა ჯარისკაცნი საშუალო ტეხნიკურის განათლებით. მსურველთ ევალებათ მიმართონ საინჟინერო-სატეხნიკო სექციას, რომელიც იმყოფება თბილისის სასახლის ქუჩაზედ ყოფილ მთავარი შტაბის შენობაში მეოთხე სართულზედ, ნაშუადღევს ორი საათიდგან ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა.

7—50—7 სამხედრო ინჟინერი პოლკოვნიკი თაყაიშვილი.

---

## ბოლშევიკური საფრთხე

როს ბოლშევიკების დიპლომატიურ შიკრიკებს ცოტაოდენი მარცხი მოუვიდათ ბერლინში მისვლისას. ფრიდრიხშტრასის სადგურზე: უხეიროდ შეკრული ბარგი გაეხსნათ და გადმოუცვივდათ პროკლამაციები, რომელშიც ლენინი, ტროცკი და სვერდლოვი სალამს უგზავნიდნენ გერმანიის რევოლუციურ ჯარსა, ბოგანო გლეხობას და პროლეტარიატს. ამ პატარა შემთხვევამ დიდი შედეგები გამოიწვია: პრინც მაქს ბადენელის მთავრობამ რუსეთიდან გაიწვია თავისი ოფიციალური წარმომადგენლები და სთხოვა ბოლშევიკების დესპანს ბ. იოფფეს ოცდაოთხ საათში დასტოვოს გერმანიის საზღვრები.

თავის თავად ცხადია, რომ რუსეთ-გერმანიის დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტას უფრო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ვიდრე სამხედრო. გერმანიას დღეს არც რუსეთთან საომრად სცალია, არც თეთრი გვარდიელების დასახმარებლად. ბერლინის მთავრობას სხვა უფრო დიდი საზრუნავი აქვს: ის სცდილობს ხალხი და ჯარი ბოლშევიკური ბაცილისაგან დაიფაროს.

მაგრამ შესაძლებელია თუ არა კარანტინის მოწყობა ბოლშევიზმის წინააღმდეგ? რაღაც უცნაურად წააგავს გერმანიის დღევანდელი მდგომარეობა რუსეთის მდგომარეობას თებერვალის რევოლიუციის დროს. ჯერ შესდგა პასუხისმგებელი მთავრობა. შემდეგ ფეხი თავი წამოჰყო რესპუბლიკის იდეამ. შემდეგ კიდევ ენაწყლიანი ორატორები ასპარეზზე გაემგზავრენ ჯარისკაცების დასაჯერებლად. ბოლოს ციხიდან გამოვიდა მისტიურ ბურუსში გახვეული კარლოს ლიბკნეხტი და აღგზნებული მოწოდებით მიმართა მთელი ქვეყნის მუშებსა და ჯარისკაცებს: „ძმებო, მეგობრებო და ამხანაგებო! მსოფლიო ომის დროს, მეფურ-იმპერიალისტურ საზოგადოების მიერ შექმნილ ქაოსში რუსის პროლეტარიატმა თავისი ბატონობა და სოციალისტური რესპუბლიკა ააგო. გაუკუღმართებისა, სიძულვილისა და ცილის-წამებების მიუხედავად მან შექმნა საძირკველი მთელი ქვეყნის სოციალისტურ წესწყობილებისთვის. რევოლიუცია კიდეც მოედო ბულგარეთსა და ავსტრია-უნგრეთს, თვით გერმანიაშიც იწყება მოძრაობა... ძმებო, მეგობრებო და ამხანაგებო! აღსდექით ყველა მბრძანებლების წინააღმდეგ. გაუმარჯოს მუშებისა, გლეხებისა და ჯარისკაცების რუსეთს! გაუმარჯოს საფრანგეთის, ინგლისის და ამერიკის პროლეტარიატის რევოლიუციას!"

თუ მახსოვრობა არ გვღალატობს სწორედ ამ სტილით ლაპარაკობდა ლენინი, როცა ის პირველად პლომბიანი ვაგონიდან გამოვიდა. კონსერვატიული და ლიბერალური გაზეთები რუსის ბოლშევიკების მთავარის წინააღმდეგ სწორედ იმავე ყაზანიას აწარმოებდნენ რომელსაც დღეს დასავლეთ ევროპის პრესა მემარცხენე სოციალისტების და ციმერვალდელების წინააღმდეგ აწარმოებს. მაგრამ რევოლიუციის სტიქიონის წინაშე სუსტი აღმოჩნდა საგაზეთო პოლემიკა. ბიბლიური გენეალოგიის მსგავსად თავადმა ლვოვმა შვა კერენსკი და წერეთელი შვა; ხოლო კერენსკიმ და წერეთელმა ლენინი და ტროცკი. ანალოგია სრული იქნება, თუ პრინც მაქს ბადენელის მთავრობას შეიდემანის მთავრობა მოჰყვა, ხოლო შეიდემანისას ჰააზესი და ლიბკნეხტისა.

დასავლეთ ევროპა უხვოდ დაიქანცა და როგორც მისი სხეული ისე მისი სული მზად არის გადამდები ავადმყოფობის მისაღებად. გასაკვირველი არ იქნება თუ ესპანური ციებცხელება ბოლშევიკურმა ციებ-ცხელებამ შესცვალა. ნაჯახიანი რუსის მუჟიკის აჩრდილი აღიზიანებს ევროპიელ ადმინისტრაციის ფანტაზიას.

ჩვენ ერთხელ კიდეც განვაცხადეთ ეს ბურანი და ალარ გვინდა მისი ხელახლა განმეორება. საქართველომ ბედნიერად გადაიტანა ბოლშევიკური კრიზისი. რეციდივი გამოხრავდა ჩვენ ეროვნულს ხერხემალს და საბოლოოდ შესწყვეტდა ჩვენს სახელმწიფოებრივ არსებობას.

---

## ახალ შეცდომას ნუ ჩავიდენთ!

საქართველოს ტერიტორიიდან ოსმალეთის ჯარების წასვლა გადაწყდა ამ ორი თვის წინად ბერლინში საქართველოს და ოსმალეთის მთავრობათა წარმომადგენლების მონაწილეობითა და გერმანიის მთავრობის თაოსნობით გამართულ თათბირზე. ამ უკანასკნელზე მიღებულ გადაწყვეტილების ძალით, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობა მთელის სისრულით დაცული უნდა ყოფილიყო ამიერ-კავკასიაშიც. საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტიც ცნობილ და „შეტანილ" იქმნა ხსენებულს ხელშეკრულობაში დამატებითი მუხლის სახით. ოსმალეთი ის იყო შეუდგა ბერლინში მიღებულ დადგენილების ასრულებას, დასცალა ბორჩალოს მაზრა და ახალციხე-ახალქალაქის მაზრებიდანაც თავისი ჯარების გაყვანას შეუდგა. ჩვენი მთავრობა ამ მოვლენას მოუმზადებელი შეხვდა და იმის ნაცვლად, რომ ოსმალთაგან განთავისუფლებული საქართველოს ტერიტორიის ნაწილები მყისვე თითონ დაეჭირა და შესდგომოდა იქ ადმინისტრატიულ წესრიგისა და სახელმწიფოებრივ თავდაცვის თადარიგს, ყოველივე ეს ხელში ჩაიგდო და აღასრულა არარატის მთავრობამ, ჩვენი სახელმწიფოს სასიცოცხლო ინ-

ტერესების სასიკვდილოთ. ჩვენთვის შეუმჩნევლად ბორჩალოს მაზრაში ოსმალეთს სომხობა გამოენაცვლა და შეიარაღებულად ჩადგა. ჩვენ ვიცით თუ რა მოჰყვა ამას: არარატის რესპუბლიკის მთავრობამ თავისი ჯარები ამ ზონასაც გადმოაცილა და ბორჩალოს მაზრის სიღრმეში შემოტევა დაიწყო. ჯერ-ჯერობით ეს ატეხილი კონფლიქტი იმით დავამთავრეთ, რომ საზღვრების საკითხის საბოლოოდ გადაჭრამდე, შევიწყნარეთ შეიარაღებულ სომეხთა დგომა ბორჩალოს იმ ნაწილში, სადაც ოსმალეთის ჯარი იდგა.

ხოლო უფრო მეტის ძლიერებით და მეტის იძულებითი ხასიათით ოსმალეთის გასვლა საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში დაპყრობილ ადგილებიდან გადასჭრა ოსმალეთს და ინგლისს შორის ჩამოვარდნილის სეპარატიული ზავის პირობებმა.

ოსმალეთი ეწყობა საქართველოს ტერიტორიიდან დაუყონებლის გასვლისთვის. თუ არ ვსცდებით ამის ოფიციალური ცნობაც უნდა იყოს მიღებული ოსმალეთის მთავრობისაგან. მისი გასვლა და ჩვენი შესვლა. ამ ადგილებში ერთს და იმავე დროს უნდა მოხდეს. შეუძლებელია უადმინისტრაციოდ და უმართველოდ, ანარქიისა და შინაური აშლილობის კერძად დარჩეს საქართველოს ეს კუთხეები. რესპუბლიკის მთავრობა ვალდებულია მზად იყოს იმისთვის, რომ მექანიკურად შესცვალოს ოსმალეთის ადმინისტრაცია და მართვა-გამგეობა ამ კუთხეში.

აქ სადაო და გაუგებარი არაფერია. ყველაფერი ზედმიწევნით მარტივია და ნათელი. საქართველოს ტერიტორიის ნაწილებიდან ოსმალეთს ჯარები გაჰყავს და სტოვებს. ეს ნაწილები eo ipso საქ. მთავრობის ადმინისტრაციამ და ჯარმა უნდა დაიჭიროს. ხოლო როდესაც ჩვენ ჩვენსას ვერ ვპატრონობთ და დროზედ არ მივხედავთ, მაშინ სხვა შემოდის შეიარაღებულის ძალით, იპყრობს მას და ისაკუთრებს. და ასეთმა დაუდევრობამ, რომელიც დანაშაულის თანასწორი ცნებაა, შეიძლება იარაღის ხმარებამდე და სისხლის ღვრამდე მიიყვანოს საქმე, რადგან მადაში შესული მტაცებელი სხვის საკუთრებაზე ადვილად ხელს არ აიღებს. დანაშაული მარტო ომის გამოცხადების ან დაწყების თაოსნობა კი არ არის, არამედ ისეთი ობიექტიური პირობების შექმნაც, დაუდევრობით თუ სხვა ხასიათის ნაკლით, როდესაც ერთი სახელმწიფო შეიარაღებული ტაციობასა და ყაჩაღობაში სიძნელეს ვერ ხედავს და იოლ ავანტიურად ეჩვენება. ამ მხრივ ჩვენს მთავრობას უკვე მიუძღვის ერთი დანაშაული ბორჩალოს საქმეში. ვიკმაროთ ეს შეცდომა.

**სპირიდონ კედია.**

## პრესსა

**მენშევიკები და დაშნაკელები.**

ბორჩალოს მაზრაში მომხდარმა კონფლიქტმა და დაშნაკელების თავაღებულმა კადნიერებამ ფიქრში ჩააგდო მენშევიკების პარტია. ლორის ინციდენტი, თითქო უომრად გათავდა, მაგრამ ნამდვილი ომის მზადებაშია „დაშნაკციუთუნი". საქართველოს მთავრობამ სადაო საკითხების გადასაწყვეტად 10 გიორგობისთვეს დანიშნა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კონფერენცია, სადაც სომხებთან ერთად მოწვეული იყვნენ ადერბეიჯანი და კავკასიის მთიელების წარმომადგენლები, დაშნაკელები კონფერენციის წინააღმდეგ წავიდენ სხვა და სხვა მიზეზების გამო და მათი არგუმენტაცია არბიტრაჟის წინააღმდეგ ისეთ იყო, რომ „ერთობამაც" მონახა ენერგიული ტონი ამ კადნიერების საპასუხოდ. „ერთობა" კიდევ უბრუნდება საკითხს, თუ როგორ ესმით დაშნაკელებს „ერთა თვითგამორკვევა", რომელიც წინდაწინ გულისხმობს რომ შეთანხმება შეუძლებელია".

„ერთობა" აღნიშნავს, რომ სომხებს „ერის თვითგამორკვევა" ესმის, როგორც ყოველი სოფლის, და კუთხის თვითგამორკვევა, რომელიც აბსურდამდე მივა, რადგან შეუძლებელია ამის ცხოვრებაში გატარება. გაზეთი სწერს:

თუ „დაშნაკცაკანები" ამის საშვალებას გამონახვენ, ეს ისეთი აღმოჩენა იქნება, რომ ნაციონალური საკითხი სამუდამოდ გადაჭრილი იქნება, ამცნონ ქვეყანას თავის აღმოჩენა და მაშინ ჩვენ იქნება თბილისში გავატაროთ „თვითგამორკვევა" სოლოლაკისა, თვითგამორკვევა შაითან ბაზრისა და მთელს ჩვენს რესპუბლიკას ისე მოვაწყობთ, რომ თუ მაგ. ჩინეთიდან ერთი-ორი ჩინელია ჩვენს ქვეყანაში დასახლებული, იმათაც-კი „თვითგამორკვევა" მიენიჭებათ".

და სანამ ეს საყოველთაოდ „თვითგამორკვევის" საშუალება არ აღმოუჩენიათ „დაშნაკელებს", ჩვენ ნება გვეძლევა მათი ყვირილი „ერთა გამორკვევის" შესახებ, მშრალ დემაგოგიათ მივიჩნიოთ და თუ მათ ყური დავუგდეთ და მოვინდომეთ ამ პრინციპის განხორციელება იმ მხრით, როგორც ამას „დაშნაკელები" მოითხოვენ, ეს მიგვიყვანს უდიდეს ანარქიამდის, როდესაც ყოველი, სოფლის უბანი, ყოველი ქალაქის კვარტალი „თვითგამორკვევას" მოინდომებს და ამის გამო სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელი გახდება.

სახელმწიფოს უარყოფა—აი ერთადერთი ლოღიკური დასკვნა, რომელიც ულმობელათ მოსდევს იმ სახის „თვითგამორკვევას", რომელსაც „დაშნაკელნი" მოითხოვენ და რომელსაც ისინი სთვლიან აუცილებელ პირობათ საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკების კეთილ მეზობლობისას.

„ერთა თვითგამორკვევა", რომელიც დემოკრატიულმა აზრმა შეიმუშავა, სულ სხვა სახით უნდა განხორციელდეს და არა ისე, როგორც ეს „დაშნაკელებს" მოუნდომებიათ. „თვითგამორკვევის" უფლება ეძლევა მთელ ერს, და არა რომელიმე პატარა კუთხის მცხოვრებს.

ჩვენ მოხარული ვართ, რომ მენშევიკებმა ნახეს სიტყვები დაშნაკელების საპასუხოთ და სახელმწიფოებრივი იდეის დაცვისთვის ამხილენ დაშნაკელების მოღალატეობას. მაგრამ საქმე იქამდის მივიდა, რომ სიტყვები ყველაზე უფრო ნაკლებ საჭიროა საქართველოს დაცვისათვის და უფრო საჭირო იქნება „ერთობამ" ენერგიული სტილის გარდა სხვა გვარადაც იფიქრონ მოსალოდნელ ომზე და დაშნაკელების თავდასხმის აცილებაზე.

* * *

**„ორიზონი" საქართველოსა და მენშევიკებზე**

დაშნაკელების გაზეთი „ორიზონი" ანალიზს უკეთებს მენშევიკების პოლიტიკას. ბევრჯერ უწერია ამ გაზეთს მენშევიკების გეგემონიის შესახებ ამიერ-კავკასიაში, მაგრამ არასდროს არ-ყოფილა მისი ტონი ასეთი მკაცრი და კადნიერი. დაშნაკელები „მფარველობის" მოლოდინში სწვავენ უკან ყველა ხიდებს. და რაც დაგუბებული ჯავრი ქონდათ საქართველოზე და მენშევიკებზე ერთიანათ უნდათ დააქციონ. გაზეთი აღნიშნავს, რომ მენშევიკების ბატონობა ამიერ-კავკასიაში აიხსნება იმით, რომ ის ნატეხი იყო დიად რუსულ ს.-დემოკრატიულ პარტიისა და ამით ის ხერხიანათ სარგებლობდა; საერთო რუსულ დროშის ქვეშ აკეთებდა თავის პატარა ეროვნულ საქმეს, აგრეთვე მენშევიკების ბატონობას ხელს უწყობდა კიდევ ოსმალეთი და ადგილობრივი მაჰმადიანებიო.

ამ ორ მიზეზის გარდა, რომელსაც არ ქონდა კავშირი რეალურ ძალასთან და მენშევიკების პოლიტიკურ სიმწიფესთან, სხვა მიზეზები მენშევიკების ბატონობისა არ ყოფილა.

„საქართველოს სოც.-დემოკრატიას, ჩვენ ვლაპარაკობთ ამას სრულიად გულწრფელად და პარტიულ მიკერძოების გამოკლებით არ მიუცია არაფერი, რასაც შეეძლოს გაძლება, ან ქონდეს ფასი, და რომელზედაც დაყრდნობით იმას შეეძლოს ბატონობის შენარჩუნება. გერმანიის დამარცხება გვეუბნება, რომ ოსმალეთის ბედიც ასეთი იქნება და ვილსონის ნოტა გულისხმობს, რომ სომხეთი სამუდამოთ დაცულია ოსმალეთის ბარბაროსობისაგან, რაც იმოქმედებს ადგილობრივ მაჰმადიანებზედაც და როცა დარწმუნდებიან ადგილობრივი თათრები, რომ ჩვენ **მივიღეთ ყველაფერი**, რაც გვინდოდა, და რისთვისაც ვიბრძოდით, მაშინ ის იქნება ჩვენი მეგობარი და არ იქნება საჭირო მესამე ძალა „შემკავებელი", ამ დღეს მოსპობილი იქნება უკანასკნელი საფუძველი მენშევიკების უკანონო ბატონობის.

ამის შემდეგ, როცა გამოჩნდა მენშევიკები ნამდვილი ქართული და ნაციონალისტური სახე, როცა ამიერ-კავკასიის მენშევიკები ვერ დაეყრდნობიან სხვის ხმებს და „შტიკებს", ის იძულებული იქნება დაკმაყოფილდეს იმ მცირედით, რასაც მისცემს ქართველი ხალხი და რაც უსათუოდ არ იქნება საკმაო, რომ ძველი ბატონობის როლი შეინახოს".

**გაზეთი დაასკვნის:**

„მოკლებული საერთო რუსულ დროშას, მოკლებული ოსმალეთისათვის და ადგილობრივ მაჰმადიანებისათვის მნიშვნელობას სომხების ელეტის საკითხში და რადგან მეტი არაფერი არ ჰქონია ობიექტიურ ღირებულების და დადებითი გარდა სიტყვებისა და ორატორობისა, მენშევიკები დაჰკარგავენ თავის ძველ ხელმძღვანელ როლს მომავალში".

ჩვენ გვგონია, რომ დაშნაკელებს მაინც მეტი ემართებათ და ზედმეტს ლაპარაკობენ, ქართველ მენშევიკების სახით ისინი საქართველოს რესპუბლიკის დამხობას სცდილობენ; მაგრამ დაშნაკელებს ავიწყდებათ, რომ მენშევიკები კარგად ეგუებიან ყოველ პოლიტიკურ კომბინაციას და თავისთავს არ ულალატებენ, მაგრამ რა შუაშია აქ მენშევიკები=საქართველოს პოლიტიკას აწარმოებს ქართველი ხალხი და ის არასდროს არ დასთმობს იმ როლს, რომელიც მიიკუთვნა დღემდე; ეს მისი შინაგანი ძალის გამოჩენაა და შემთხვევით გასოჩენილი საჭვო პროტექტორები ტყუილად ახალისებს სომხებს, ყოველ შემთხვევაში საქართველოს ადგილის და როლის შესრულებას ვერ შესძლებენ სომხები. ავანტიურას, რაც არ უნდა გაუღიმოს ბედმა, მაინც საბოლოოდ დაიღუპება.

## მომავალი პოლიტიკური გეოგრაფია

რანაირი იქნება ევროპისა და წინა აზიის პოლიტიკური გეოგრაფია თუ შეთანხმების სახელმწიფოებმა გაიმარჯვეს? პრეზიდენტ ვუდრო ვილსონისა და ინგლის-საფრანგეთის ხელმძღვანელი პოლიტიკოსების მიერ გამოთქმულ მოსაზრების მიხედვით შეგვიძლიან დაახლოებით წარმოვიდგინოთ მომავალი გეოგრაფიული რუქა. უეჭველია რომ ამ რუქის შემდგენელთ ბევრად მეტი საღებავები დასჭირდებათ, ვიდრე წინედ იყო საჭირო.

ყოფილ რუსეთის ტერიტორიაში ალბათ შემდეგი ახალი სახელმწიფოები გამოიჭრება: ფინლანდია, ესტლანდია, ლატვიეთი, ლიტვა, პოლონეთი, უკრაინა, საქართველო, სომხეთი, ადერბეიჯანი. უფრო პრობლემატიურია ბელორუსეთის, ყირიმის, დონის, ყუბანის, თერგის, მთიულეთის, ურალის, ციმბირის და სხვა ამგვარი სახელმწიფოთა ბედი.

ავსტრია-ჰუნგრეთიც ფაქტიურად დაიშალა; მოსალოდნელია, რომ ეროვნულ თვითგამორკვევის პრინციპის მიხედვით ყოველს შემთხვევაში სამ ეროვნულ სახელმწიფოს სცნობენ: ჰუნგრეთს, ჩეხია-სლოვაკეთს და სამხრეთ-სლოვიანეთს. ტრენტინო და ტრიესტი ალბათ იტალიას გადაეცემა აღმოსავლეთ გალიცია ქალაქ ლვოვით უკრაინას, დასავლეთ უკრაინა და ქ. კრაკოვი პოლონეთს. ნაკლებ გარკვეულია ავსტრიელი გერმანელების ბედი; თუ კი დალმაცია, შტირია და კორინტია სამხრეთ სლოვიანეთის სახელმწიფოში შევიდა, ხოლო ტრიესტს იტალია დაეპატრონა, ავსტრიელ გერმანელებს ზღვის გზები აღარ ექნებათ და ისინი იძულებულნი გახდებიან გერმანიის იმპერიას შეუერთდნენ; ამას მოითხოვს მათი ეროვნული საბჭოც. მაგრამ გერმანელი ტომის გაერთიანება დიდად საშიშია ინგლისისათვის, ამიტომ შეიძლება კონგრესზე წინააღმდეგობა გაუწიონ ავსტრიელ გერმანელების მისწრაფებას, მაგრამ დიდათ საეჭვოა რომ საბოლოოდ სძლიონ ის.

თვით გერმანიას ვილსონი და მოკავშირეები მთელი პროვინციების ჩამოჭრას უქადიან: ელზას ლორენი საფრანგეთს უნდა გადასცეს, პოზნანი პოლონეთს, შლეზვიგი და ჰოლშტეინი დანიას, აღმოსავლეთი პრუსია და კენისბერგი ლიტვას, დასავლეთი პრუსია და დანციგი პოლონეთს.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა მოხდეს წინა აზიაში. ოსმალეთის არაბეთმა და შუამდინარემ შეიძლება დამოუკიდებლობა მიიღონ ინგლისის პროტექტორატისა, ხოლო სირიამ საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ. იტალია და საბერძნეთი კომპენსაციის მიღებას სცდილობენ სმირნის ვილაეთში.

ასეთია მომავალი პოლიტიკური გეოგრაფია თუ მას ვილსონის პრინცების მიხედვით წარმოვიდგენთ. მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ მოულოდნელმა სტიქიურმა მოვლენებმა დიდი შესწორებანი შეიტანოს ან და სრულიად გადაასხვაფეროს პედანტი პრეზიდენტ ვილსონის ანგარიშები.

## ნ. ჩხენკელის ელჩად დანიშვნა

მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, რომ ბ-ნი აკაკი ჩხენკელი დროებით დაინიშნა რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლად ბერლინში, ხოლო ბ-ნი ევგ. გეგეჭკორი აგრეთვე დროებით საგარეო საქმეთა სამინისტროს გამგედ.

## ქრონიკა

**შინაგან საქმეთა მინისტრმა** შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ გადადებულ იქნას 200.000 მან. მცხოვრებთათვის სასანიტარო და წამლებით დახმარების აღმოსაჩენად.

**ტყიბულის მუშები.** გზათა მიმოსვლის მინისტრმა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ 500.000 მანეთი გადაიდოს ტყიბულის მუშების საქმეების დასასრულებლად.

**დახმარება დაჭრილ გვარდიელებს.** ქალაქის გამგეობამ დააკმაყოფილა სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის შუამდგომლობა დაჭრილ გვარდიელთა დასახმარებლად 7.100 მანეთის გადადების შესახებ.

**საგანგებო რაზმში.** შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რაზმის თანამშრომლები ადგენენ კოლეგიურ კომისიას თანამშრომელთა ქონებრივ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ღონისძიებათა გამოსანახად.

**საფოსტო ვაგონით მგზავრობა.** ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსმა შინაგან საქმეთა სამინისტროს აცნობა, რომ საჭიროა საფოსტო ვაგონებში მგზავრების შეშვება აიკრძალოს, თანახმად საფოსტო კანონისა, და შეუშვან ხოლმე მხოლოდ საფოსტო გადაზიდვის გამგეობის წევრი-

**ჩხრეკა ქუჩებში.** ეს 2 დღეა, რაც დაიწყეს ქუჩებში გამვლელ-გამომვლელთა ჩხრეკა იარაღის ჩამოსართმევად. ჩხრეკას აწარმოებს მილიცია ჯარის-კაცთა დახმარებით.

სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოში, ჯამალიანი შეეკითხა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, შეეხება თუ არა იარაღის ჩაბარების ბრძანება თბილისში დროებით ჩამოსულ სომეხ ოფიცრებს.

კავკასიის მუზეუმის დირექტორმა ნ. ყაფიანმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რომ მუზეუმში შენახული იარაღი არ ჩამოართვან, რადგანაც იგი მუზეუმის მოსამსახურეებს სჭირიათ სამეცნიერო გამგზავრების დროს.

**შეტაკება ქისტებთან.** თბილისის გუბერნიის კომისარმა შინაგან საქმეთა სამინისტროს აცნობა, რომ თიანეთის მაზრაში, პანკისის ხეობაში მილიციას შეტაკება მოუხდა გროზნის ოლქიდან გადმოსულ ყაჩაღ-ქისტებთან, რომლებსაც 13 გატაცებული ცხენი წაართვეს უკან და პატრონებს დაუბრუნეს.

**შინაგან საქმეთა მინისტრმა** შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე. 1 მილიონი მანეთი გადაიდოს ერობებისთვის დახმარების აღმოსაჩენად პირველ ხანებში, მათ გასამტკიცებლად და ხელის შესაწყობად.

**საეპიდემიო გადასახადი.** ქალაქის თვითმართველობის მიერ შემოღებულ საეპიდემიო გადასახადების აკრებით ქალაქის კასაში შემოვიდა 400.000 მან.; მოსალოდნელია სულ 1.000.000 მილიონ მანეთის შემოსავალი.

**აღმოს. საქართველოს მოხელეთა საყურადღებოთ.** აღმოს. საქ. მოხელეთა პრეზიდიუმი 27 ღვინობისთვეს საქართველოს მოხელეთა კავშირთა კავშირის საბჭოს მიერ მოწვეულ მოხელეთა კრების დავალებით სთხოვს სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეებს გამოცხადდნენ გიორგობისთვის 10-ს დილის 10 ს. ახალ კლუბის საზაფხულო შენობაში. მოხელეთა საზოგადო კრებაზე.

კვირას, 10 გიორგობისთვეს, დილის 12 ს. (ფრეილინის ქ. № 11) დანიშნულია ქ. შ. წ. გ. ს. რწმუნებულთა საზოგადო კრება. განსახილველი საგნები: ა) 1916—1017 წლების გამგეობის მოქმედების ანგარიში, ბ) სარევიზიო კომისიის მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ, გ) გამგეობის მოხსენება საზოგადოების მომავალ სამოქმედო გეგმის შესახებ, დ) 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, ე) გამგეობის და სარევიზიო კომ. წევრთა არჩევნები, ვ) სექციების წევრთა არჩევნები.

**გორის საოსტატო სემინარიაში** თავისუფალია მათემატიკის მასწავლებლის ადგილი. ჯამაგირი იგივეა, რაც გიმნაზიებში. ამის გარდა მიეცემა სამ ოთახიანი ბინა სემინარიის ბაღში თავისი მოწყობილობით.

**დუშეთში გამომძიებლის დანიშვნა.** იუსტიციის სამინისტრომ აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ დუშეთში მუდმივი გამომძიებელი დაინიშნა.

სოსიკო მერკვილაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ 25 ღვინობისთვეს საღ. 7 საათზე მის წიგნის მაღაზიაში. შესულა ვინმე ქართველი, წიგნის ყიდვისას დარჩენია საფულე ფულით. ბინადრობა, სახელი და გვარი არ იციან, სახეზე კი იცნობენ, კვირაზე მეტია ფული არ მოიკითხა, სთხოვს მოვიდეს და მიიღოს თავისი საფულე ფულებით.

## პროვინციის ქრონიკა

**სამხედრო გზა.** სამხედრო გზაზე ყაჩაღთა თარეში ძლიერდება.

**თელავი.** მაზრაში დიდი წესრიგობაა. ავაზაკები თავისუფლად დაძრწიან

**ს. ახალსოფელი.** ხილის მოსავალი კარგი იყო. სოფელი სამკითხველოს გახსნას აპირობს.

## ერობა

თანახმად მთავრობის თავმჯდომარის წინადადებისა დაევალოს კომისიას ყველა სამინისტროების წარმომადგენელთაგან შემდგარს შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით გადაეცეს უკვე შემდგარ ერობებს მათი ფუნქციები, საქმეები და კრედიტები. ამავე კომისიას მიენდოს გზათა მინისტრის მიერ წამოყენებული საკითხი ზოგიერთ საერობო გზების შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან გზათა სამინისტროს გამგეობაში გადაცემის შესახებ.

## კავკავში

სომხურ გაზეთს „ჯოღოვორთი ძაინ" კავკავიდან შემდეგს ატყობინებენ: ხელმწიფება ქალაქში ბოლშევიკების ხელშია. სათავეში დგას ვინმე ლევანდოვსკი.

კავკავის ბოლშევიკები ქვეყანას მოწყვეტილი არიან; ქალაქს გარედ მათი ბატონობა ხუთი ვერსის მანძილს არ სცილდება. ქალაქი გარშემორტყმულია ერთის მხრივ ყაზახებით, მეორის—ინგუშებისაგან.

ქალაქში არევ-დარევისა და უწესოების მიზეზნი არიან ინგუშები, რომელნიც ძარცვა-გლეჯით აწიოკებენ მცხოვრებლებს.

სომხებს ყაზახები ძლიერ კარგად ეპყრობიან. არ ურიგდებიან ერთმანეთს მხოლოდ ყაზახები და ინგუშები, რომელთა შორის განუწყვეტელი შეტაკება ხდება...

კავკავში არ მოიპოვება სანოვაგე, გარდა აუარებელი და კარგი ღირსების პურისა.

ყაზახები დიდი ძალებით მიიწევენ ქ. გროზნოსაკენ, რომელიც აქამდე ბოლშევიკების ხელშია.

ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებნი სიხარულით უერთდებიან ყაზახებს და ისინიც წინ მიიწევენ.

სოფლებში და სტანიცებში დიდი არეულობა და შიმშილია.

## ა. გეგეჭკორი

დუშეთის ამბოხების ცნობილი ბელადი-ხელმძღვანელი ა. გეგეჭკორი, რომელიც ამას წინად ქ. კავკავის კომენდანტის თანამდებობიდან გადაყენებული იყო, ეხლა ბოლშევიკებმა ისევ მოიწვიეს და რევოლიუციონურ წესრიგის კომისრად დანიშნეს. თანამდებობის მიღებისათანავე ა. გეგეჭკორმა გამოსცა ბრძანება № 1, სადაც ნათქვამია: შევუდექი რა რევოლიუციონურ წესრიგის თანამდებობის ასრულებას, მოქალაქეთა საყურადღებოდ ვაცხადებ, რომ ჩემგან განსაკუთრებული მკაცრი ზომები იქნება მძარცველთა წინააღმდეგ მიღებული და დამნაშავეთა დახვრეტას არ დავერიდები.

## კავკასიის კონფერენციისათვის

ქართველ - სომეხთა უთანხმოებას ყველა ქართული პოლიტიკური მიმდინარეობა ერთნაირად უყურებს: რომ მისი ლიკვიდაციის დროს უსათუოდ უნდა იყოს დაცული ქართველი ხალხის ინტერესები.

ასეთივე აზრისა უნდა იყვეს ჩვენი დემოკრატიული მთავრობაც. მაგრამ წამოჭრილ კითხვების მოსაგვარებლად მან მეტად მორიდებული პაციფიური გზა აირჩია. ჩვენ ვშიშობთ, [illegible] სხვა ნაირად არ ჩამოგვართვან და მათი აგრესიული სულის კვეთება ვალდ იმედებს არ მიეცეს. ოღონდაც მოსაწონია მთავრობის ტონის ძიება, რომ იყოს დაცული მეზობლური ურთიერთობა სომხის ერთან.

როცა ერთა თვითგამორკვევაზე ვლაპარაკობთ მხედველობაში უნდა გვქონდეს ერის უცვლელი ნორმები და სწორედ ამ ნორმების ფარგლებიდან არ უნდა გამოვიდეთ, როცა ერის თვითგამორკვევის უფლებაზე ვლაპარაკობთ, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება ერთა თვითგამორკვევის მნიშვნელობის სრულ დამახინჯებასთან.

ასეთ კატეგორიას ეკუთვნის ჩვენი მეზობლების პრეტენზიები ლორე და ბამბაკის პროვინციების შესახებ.

ხსენებული პროვინციები ჩვენ სომხეთისაგან არასოდეს არ დაგვიპყრია ხოლო საქართველოს ეს სადაო პროვინციები არა ერთხელ გაგვინთავისუფლებია იარაღის ძალით სპარსეთ ოსმალეთისაგან. უნდა გვახსოვდეს, რომ როცა კი დავიწყებთ თავს გარეშე მტრის შემოსევას ეს ადგილები უფლებრივად მუდამ განუყოფელი იყო საქართველოსაგან.

ვიტყვით, რომ დასახელებული პროვინციები ლორე და ბამბაკი ისტორიის მანძილზე არც ერთ შემთხვევაში სომხეთის სახელმწიფოებრივ ზონაში არ იმყოფებოდნენ.

მაშ რა მოსაზრებით შეიძლება მეზობლების პრეტენზიები გამართლდენ ერთა თვითგამორკვევის პრინციპის მიხედვით თუ არ გამოვალთ უფლებრივ ნორმისაგან?

რა თქმა უნდა ახსნა და განმარტება ამ მხრივ შეუძლებელია.

ჩვენს უფლებაზე დასახლებულ პროვინციების შესახებ მეტს არას ვიტყვით, ვინაიდან თუ რას გულისხმობს იგი დღეს ყველასათვის გასაგებია.

ახლოვდება 10 გიორგობისთვე, და ჩვენ არ ვიცით ისურვებენ ჩვენი მეზობლები ჩვენთან უფლებაზე და სამართლიანობაზე პირ ახდილით ლაპარაკს და გამოგზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს კონფერენციაზე; თუ ისინი აირჩევენ ჩვენს წინააღმდეგ [illegible] პოლიტიკურ ინტრიგების წარმოებას და დიპლომატიური [illegible] გამოძიებას.

ჩვენი მთავრობა მზად უნდა იყვეს აქ, კონფერენციაზე საქართველოს შეურყეველ უფლებების დასაცავად და მასთან ერთად დიპლომატიის ენერგიული ამოქმედებით მან აიცილოს ის მუხანათური ქსელი, რომელსაც, ეჭვი არ არის, ჩვენს წინააღმდეგ ქსოვენ ჩვენი მეზობლები.

**კ. ხ—ძე.**

## ბაქო

საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს ადერბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობის წინაშე ნ. ქარცივაძეს გაზ. „საქ. რესპუბლიკის" თანამშრომელთან უსაუბრია პოლიტიკურ საკითხებზე.

ნ. ი. ქარცივაძე რამოდენიმე დღეა, რაც ბაქოდან თბილისში დაბრუნდა. ნ. ქარცივაძესთან თბილისში ჩამოვიდნენ ბაქოდან: ჩრდილო-კავკასიის მთიელთა კავშირის ფინანსთა მინისტრი და ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ბ. ჯაბაგიევი, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლის საბჭოს წევრი ბ. ტოლსტონოგოვი და ბ. ყაფიანი და ადერბეიჯანის რკინის გზის უფროსი ბ. თემურ-ბეგ მელიქ-ასლანოვი, ძმა ადერბეიჯანის რკინის გზის მინისტრისა ბ. მელიქ-ასლანოვი.

**ჩამოსვლის მიზანი**

ბ. ჯაბაგიევი და თემურ-ბეგ მელიქ-ასლანოვის თბილისში ჩამოსვლა არის გამოწვეული იმ საკითხების გამო, რომელიც უნდა იქნას გადაწყვეტილი საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით და რომელიც შეეხებიან საქართველოს, ადერბეიჯანის და მთიელთა რესპუბლიკის ურთი-ერთობის საქმის მოწესრიგებას.

**ქ. ბაქოს დღევანდელი მდგომარეობა**

იმ დიდი გაჭირვების შემდეგ, რომელიც ბაქოს არგუნა ბედმა, რომელიც მარტში, ისე სექტემბერში ომიანობის დროს, სთქვა ბ-ნ ნ. ქარცივაძემ, ნორმალური ცხოვრება ისევე უბრუნდება ქალაქს, მშვიდობიანი ცხოვრება თანდათან იკიდებს ფეხს ყოველ დარგში, ნავთის წყაროების რაიონებშიაც მუშაობა, თუმცა ნელი ნაბიჯით, იწყება. ქალაქში, მართალია, საქონელი ნაკლებადაა, მაგრამ ვაჭრობა მაინც მიდის.

ადერბეიჯანის მთავრობამ მიიღო

მკაცრი ზომები, რომ მშვიდობიანი ცხოვრება ქალაქში არ იყოს დარღვეული და კიდევაც მიაღწია მან ამ შემთხვევაში თავის მიზანს: ძარცვა-გლეჯას და უწესობას ბაქოში ადგილი აღარ აქვს.

**მარტის და ენკენისთვის ზარალი**

მწუხარებით უნდა დავადასტურო ის ცნობა, რომ მარტში და ენკენისთვეში მომხდარ ამბების დროს დახოცილთა რიცხვი და ნივთიერი ზარალი, დიდია. არ შემიძლიან სრული სისწორით აღვნიშნო რაოდენობა ამ რიცხვისა, მხოლოდ ვფიქრობ, რომ ენკენისთვეში დახოცილთა რიცხვი 20—25 ათასი სული, რომელიც ნაჩვენები იყო თბილისის გაზეთებში ნამდვილი უნდა იყოს.

გადაჭრით ვაცხადებ, რომ ოსმალეთის და აგრეთვე ადერბეიჯანის რეგულიარულ ჯარს ქ. ბაქოს დარბევაში და მცხოვრებთა ხოცვა-ჟლეტაში არ მიუღია არავითარი მონაწილეობა. ნათლად ჰსჩანს, რომ ენკენისთვეში იმ დიდმა უბედურებამ, რომელიც თავს დაატყდა ბაქოს, უკვე სტიქიური ხასიათი მიიღო.

ნივთიერი ზარალი დიდია, როგორც ნავთის წყაროების რაიონებში, ისე ქალაქში.

**ნავთის რაოდენობა ბაქოში**

ბაქოში ამ ჟამად დაახლოვებით ასი მილიონი ფუთი ნავთია. ადერბეიჯანის მთავრობას განზრახვა აქვს ეს ნავთი სხვა სახელმწიფოებთან საჭირო საქონლის გაცვლის დროს გამოიყენოს. სხვათა შორის, რამდენადაც ვიცი, ადერბეიჯანის მთავრობამ უნდა შეინახოს და მისცეს რუსეთს ის პროცენტი ნავთისა, რომელიც მისთვის საჭირო იყო წინეთ და დღესაც.

**ნავთის გამოგზავნა საქართველოსათვის და ხელშეკრულების საკითხი.**

ჩვენი მთავრობის სახელით ჩვენ ადერბეიჯანის რესპუბლიკის წარმომადგენელთან ერთად ვიმუშავებთ ორ გვარ ხელშეკრულებას. ერთი შეეხება იმ საქონელს, რომელმაც უნდა გაიაროს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია, მაგალითად ნავთი საქართველოთი უნდა გაიგზავნოს, უკრაინაში, ოსმალეთში და საზოგადოდ დასავლეთ ევროპაში.

მეორე ხელშეკრულება შეეხება საქონლის გაცვლა-გამოცვლას და საეკონომიო საკითხებს. სულ მალე, ეს ხელშეკრულებები სავსებით შემუშავდება, ძალაშიც შევა. მხოლოდ სანამ ეს მოხდებოდეს და საქართველო ბაქოდან საჭირო ნავთს მიიღებდეს, რაზედაც პრინციპიალური თანხმობა ადერბეიჯანის მთავრობამ განაცხადა, გადაწყვეტილია ყოველდღიურად გამოგზავნოს ბაქოდან 21 ცისტერნი ნავთი, ასი ცისტერნი უკვე გამოგზავნა დანარჩენიც იგზავნება. მხოლოდ 50 ცისტერნი აქ გამოსაგზავნი ნავთი, სავსე სდგას ბაქოს სადგურზე, რადგანაც არა აქვთ საჭირო რიცხვი ორთქლმავალისა. ამ გარემოების გამოსაწყობად საქართველოს მთავრობამ მიიღო ყველა ზომები. ამას გარდა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნავთის გადმოსაქაჩი მილები დიდი სიჩქარით სწორდებიან და სულ ახლო მომავალში შეგვეძლება მათი საშუალებით ნავთი მივიღოთ თბილისში.

## გერმანიის საზავო დელეგაციის გამგზავრება.

**ბერლინი. ოფიციალურ უწყებითა ცნობით 6 გიორგობისთვეს ბერლინიდან დასავლეთის ასპარეზზე გაემგზავრა დელეგაცია დროებითი ზავის ჩამოსაგდებად და სამშვიდობო მოლაპარაკების საწარმოებლად.**

## ომი

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო

**ბერლინი** სამხედრო ცნობა. დასავლეთის ასპარეზი. შელდის ველზე ქვეითა ჯარის ბრძოლაა. შელდასა და უაზასა შუა ჩვენი ასპარეზი უკან დავსწიეთ.—მტერმა გუშინ მძლავრი საარტილერიო ცეცხლის შემდეგ იერიშები გაანახლა ჩვენ მიერ დატოვებულ თხრილებზე. შემდეგ ბრძოლაში მტერი შევაჩერეთ, ამ ბრძოლებმა მორმალის ტყეში, და ლანდრესის სამხრეთ—აღმოსავლეთით მკაცრი ხასიათი მიიღეს. მტერი საღამოთი იდგა ბივეს დასავლეთით, მორმალის ტყის აღმოსავლეთ ნაპირთან, ლანდრესისა და გიზის აღმოსავლეთით. უაზასა და მაასის შუა გუშინ კარგა მანძილზე უკან დავიხიეთ. მტერი დღის განმავლობაში უკან გვსდევდა და საღამოთი მიაღწია მარლე-დიზი-ლე-გრანდ-ეკლის საერთო ხაზს. მდ. ენის აღმოსავლეთით მტერს ვებრძოდით. ლე-შესნეს აღმოსავლეთით და ბომონტის დასავლეთით. ბომონტთან და ლე-ტაკტან მოტანილი მტრის იერიშები მოვიგერიეთ. დანის სამხრეთით მაასის აღმოსავლეთ ნაპირების სიმაღლების ტყეში მილსა და ვილსკს შუა ამერიკელები დიდი იერიშებით შემოიჭრნენ. საქსონიის მსროლელთა მე-7 პოლკმა ფონტენის მიმართულებით შუაგულ ასპარეზში შემოჭრილ მტერს უკან დაახევინა და ეპინიას ტყე დაიბრუნა. ბრძოლა მაასის აღმოსავლეთის მხრის მაღლობთან დასრულდა. მაასის აღმოსავლეთის მაღლობებზე და ეტრეის ტყეში, ამერიკელების განახლებულ იერიშები მოიგერიეს. 4 ნოემბერს მტრის 45 აეროპლანი დავღუპეთ. პოლკოვნიკმა ბოლლემ და ლეიტენანტმა კონეკემ საჰაერო ბრძოლაში 35 ჯერ გაიმარჯვა.

**ბერლინი** საღამოს ცნობა. ვადანსიენის ჩრდილოეთი ბავეისთან და ოლნუასთან სამბრეზე, სელესა და უაზის შუა მტერმა მიუხედავათ იმისა, რომ ძლიერი იერიშებს აწარმოებდა ჩვენი მოძრაობისთვის ხელი რომ შეეშალა ვერ შესძლო. უაზა-მაასის ასპარეზზე მკაცრი ბრძოლები არა ყოფილა. მაასის აღმოსავლეთით ნაპირზე ამერიკელებმა იერიშები განაახლეს. დანის აღმოსავლეთით მათ შესძლეს მცირე ტერიტორიის ნაწილის დაბრუნება, საერთოდ ეს იერიშები მოვიგერიეთ.

## უცხოეთი

(ბეჟდვ. ბიუროს ც. ა. კ. ბიულეტენი)

**რუსეთის დეპ. საბჭოს მე-6 ყრილობა.**

**მოსკოვი.** 6 გიორგობისთვეს რუსეთის დეპუტატთა საბჭოების მე-6 ყრილობა სვერდლოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა. პრეზიდიუმში აირჩიეს: სვერდლოვი, ზინოვიევი, კამენსკი, სტეკლოვი, ოვანესოვი, სერგეევი. საპატიო თავმჯდომარეებათ: ლენინი, ლიბკნეხტი და ფრიდრიხ ადლერი. დღის წესრიგი: რევოლიუციის წლის თავი, საერთაშორისო მდგომარეობა, სამხედრო მდგომარეობა, საბჭოთა მთავრობის ზრდა, ცენტრში და პროვინციებში, კომიტეტები, სიღარიბე. ილაპარაკეს: მიასნიკოვმა, ლენინმა, დანიის და შვეციის წარმომადგენლებმა, კამენევმა და სვერდლოვმა. სხდომა 4 საათის 45 წ. დასრულდა. მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება: სრულიად რუსეთის მუშათა, გლეხთა, ყაზახთა, წითელ ლაშქრელთა დეპუტატების საგანგებო მე-6 ყრილობა მოვალედ ჰრაცხს თავის თავს მთელი ქვეყნის წინაშე განუცხადოს რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და ისპანიის მმართველთა, რომ სისხლის შეწყვეტის მიზნით ყრილობა წინადადებას აძლევს დაიწყონ ზავის შეკრავად მოლაპარაკება. თავმჯდომარე სვერდლოვი, მდივანი ავანესოვი.

საბჭოთა მთავრობა სოციალისტურ წესწყობილებისთვის იბრძვის, მტრებით გარშემორტყმული. ბრძოლის ველიდან კონტრ-რევოლიუცია მოდის მასზე, ხოლო იგი უსასტიკეს ზომებს იღებს კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ. რუსეთის პროლეტარიატი სათავეში ჩაუდგა მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას, ძალა-უფლება ხელში აიღო და იძულებული იყო მიემართა უსასტიკეს ზომებისთვის, რათა მთელი ქვეყნიერების იმპერიალისტების გაალვარებულ თავდასხმისაგან დაეცვა ქვეყნიერებაზე მშზომელთა პირველი და ერთადერთი რესპუბლიკა. საბჭოთა რესპუბლიკის წითელი არმიის ძალით და კონტრრევოლუციისაგან ყოველგვარ საშუალებით ბრძოლის წყალობით ბოლოს ცენტრში და პროვინციაში, მუშათა და გლეხთა მთავრობა დღეს არა ჩვეულებრივი ყრილობა მოუწოდებს საბჭოთა მთავრობის ადგილობრივ ორგანოებს გააძლიერონ დაუნდობელი ბრძოლა მოლალატეებსა, შეთქმულთა და თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ და გამოაქვს შემდეგი დადგენილება: 1) გაანთავისუფლონ კონტრრევოლუციასთან მებრძოლ ორგანოების მიერ ყველა დაპატიმრებული, თუ მათ 2 კვირის განმავლობაში ის წარუდგენს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაში და ბრძოლაში მონაწილეობის ბრალდებათ. 2) განთავისუფლებულ იქმნენ ყველა მძევლები გარდა იმათი, ვისი დატოვებაც აუცილებელია მტრის ხელში ჩავარდნილ ამხანაგების გადასარჩენად. მძევლებათ დატოვება მომავალში მხოლოდ სრ. რუს. ცენტ. აღმ. კომიტეტის დადგენილებით უნდა ხდებოდეს. არავითარ სხვა ორგანიზაციებს არა აქვთ მძევლების დაჭერის უფლება. 3) წინადადება მიეცეს ყველა რევოლუციონურ ტრიბუნალებს და სახალხო სასამართლოებს მათ მიერ დამნაშავებათ აღიარებულ პირთა სიები გადაშინჯონ, რათა ვადამდე გაანთავისუფლონ ყველა ის, ვისი განთავისუფლებაც რესპუბლიკისთვის სახიფათო არ არის. 4) ამ დადგენილების სისწორით და მტკიცედ ცხოვრებაში გატარების თვალყურის დევნება ევალება ადგილობრივ საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტებს. 5) ეს დადგენილება ტელეგრაფის საშვალებით დაიგზავნოს დაუყოვნებლივ. თავმჯდომარე სვერდლოვი, მდივანი ოვანესოვი.

**ვილსონის პასუხი**

**ბერლინი.** 6 გიორგობ. დღეს რადიო ტელეგრაფით მიღებულ იქმნა ვილსონის პასუხი გერმანიის უკანასკნელ ნოტაზე.

**რუსეთის საკონსულო**

**ბერლინი.** 6 გიორგობ. რუსეთის საკონსულოში ინტრიგების აღმოჩენის გამო აღნიშნული საელჩო საგანგებო მატარებლით დღეს რუსეთისაკენ გაემგზავრა. ტელეგრაფის მავთულები საელჩოსი გადაჭრილია და საელჩოს შენობას, როგორც წინეთ ისე ეხლაც ისპანიის წარმომადგენელი განაგებს.

**ვილჰელმის მანიფესტი**

**გერმანული პრესა.** 5 გიორგობ. კონსტიტუციურ ფორმების გატარების შესახებ იმპერატორმა ვილჰელმმა შემდეგი მანიფესტი გაგზავნა კანცლერის სახელზე: „თქვენო ბრწყინვალებავ, გიბრუნებთ დაუყოვნებლივ გამოსაქვეყნებლად იმ კანონპროექტს, რომელიც ხელის მოსაწერად წარმომიდგინეთ და რომელიც შეეხება საიმპერიო კონსტიტუციის და 1878 წლის 17 მარტის კანცლერის გამოცვლის შესახებ, კანონის რეფორმას. გერმანიის ხალხის ისტორიისთვის ფრიად მნიშვნელოვან ნაბიჯის გადადგმის გამო მე მსურს გამოვსთქვა ის გრძნობები, რომელნიც ჩემ მოქმედებას უძღვის წინ. მთავრობის მიერ მთელი რიგი აქტების გამოცემის შემდეგ ახალ წესწყობილებას, რომელიც კანონის ძალას ღებულობს, იმპერატორის პრეროგატიული უფლებები ხალხის ხელში გადადის. ამით სრულდება ის პერიოდი, რომელსაც მომავალი თაობა პატივს სცემს. მიუხედავად ტრადიციულ მმართველობის და უფლება-მოსილების მოსურნე ძალთა შორის დაბადებულ ყველა გაუგებრობისა, ამ პერიოდმა ხალხს შეუნარჩუნა ის მძლავრი განვითარება, რომელიც ცხადი გახდა ამ ომის დროს. 4 წლის საშიშარ ომის განმავლობაში ძველი ფორმები ირღვეოდა, მაგრამ არა იმისთვის, რომ ნანგრევებათ ქცეულიყო, არამედ იმისთვის, რომ ადგილი დაეთმო ცხოვრების ახალი ფორმებისათვის. ამ ხნის განმავლობაში გამოჩენილ გმირობის შემდეგ გერმანიის ხალხს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მას არ წაართვან არც ერთი უფლება, რომელიც უზრუნველყოფს მის თავისუფლებას და განვითარებას მომავალში. ფედერალურ მთავრობების ის კანონები, რომელიც ეხლა რეიხსტაგმა მიიღო და გააფართოვა, სწორეთ ამ რწმენამ წარმოშვა. სახალხო წარმომადგენლობის და უაღრესად პატივსაცემ ფედერალურ მთავრობების რეზოლუციებს ხელს ვაწერ სრულის გადაწყვეტილებით. რამდენადაც ეს ჩემზეა დამოკიდებული, სავსებით დარწმუნებული, რომ ამით გერმანიის ხალხის ბედნიერებას სამსახურს ვუწევ. საიმპერიო მთავრობა ხალხს უნდა ემსახურებოდეს და დაე ახალმა წესწყობილებამ გაანთავისუფლოს ყველა ის სასარგებლო ძალები, რომელშიც ჩვენ ხალხს სჭირია ჩვენი იმპერიის საშიშ გაჭირვებასთან საბრძოლველად და მტკიცე ნაბიჯით წინ წავიდეს ბნელ აწმყოდან ბრწყინვალე მომავლისკენ“.

**იარაღის ძებნა ეკლესიაში**

ბერლინი, 28 ღვინობისთვე. ლიონის რადიო სადგურმა გამოაქვეყნა გერმანიის მე-3 ლაშქრისადმი გაცემულ ბრძანების ტექსტები, რომელშიაც ვავალებთ დაბყრობილ ადგილებში საყდრები გაჩრიკონ იარაღის აღმოსაჩენად; გაუჩხრეკიათ აგრეთვე წმიდა ადგილები და საგნები. ამ ბრძანების გასაგებათ, რომელიც მორწმუნე პირთა რელიგიურ გრძნობას შეურაცხყოფს, საჭიროა აღინიშნოს, რომ გერმანელები ძალიან პატივს სცემდნენ ეკლესიებს. ამით ისარგებლეს ფრანგებმა და იქ ჰმალავენ იარაღს, ამუნიციას და სხვა აკრძალულ საგნებს. გერმანელთა სალაშქრო სარდლების ეს ბრძანება აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. უკმაყოფილება, რომელსაც ამ რადიო-დეპეშით გერმანელებს უგზავნიან იმავე საფუძველით თვით ფრანგებსვე უნდა გამოუცხადონ.

## პოლონეთის ტერიტორიული საკითხი

პოლონეთის ტერიტორიალურ საკითხის შესახებ გაზეთი „ძენიკ ვარშავსკი“ სწერს: დასავლეთის საზღვარი პოლონეთისა ხალხის სურვილის თანხმად უნდა დამყარდეს. იქ ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ იმას, რაც უეჭველს ჩვენ საკუთრებას შეადგენს, აღმოსავლეთით კი ჩვენ გვსურს პოლონელთა ყველა მიწების შემოერთება და ეს კი მიდის დიუნაბურგამდე. ჩვენ გვსურს მტკიცე ზღუდეები სახელმწიფოსათვის, რომელიც ჩვენი სანაოსნო მდინარეთა აუზებით უნდა განისაზღვრებოდეს. დაეთანხმება ამ ჩვენს სურვილს ინგლისი თუ არა“.

„ტაიმსში“ მოთავსებულ ლორდ ნორდკლიფის წერილის გამო, „ბერლინერ. ტაგ. სწერს: „ვილსონის სამშვიდობო ნოტა, რომლის საფუძველზედაც გერმანიის მთავრობას ჰსურს საზავო მოლაპარაკების წარმოება, ერთ მთლიან პირობას წარმოადგენს. ჩვენის აზრით აღნიშნული მუხლებიდან რისიმე გამოკლება, არც მიმატება არ შეიძლება თუ კი ის დაარღვევს მის მთლიანობას. ნორდკლიფის სტატია კი ამახინჯებს ვილსონის პროგრამას, ვინაიდან ხმას არ იღებს არც არბიტაჟზე და მეორე-ხარისხოვან მნიშვნელობას აძლევს ეროვნებათა ლიგის საკითხს, რომლისკენაც მიპყრობილია მთელი კაცობრიობის თვალი და გულისყური. ამავე წერილში ავტორი გვერდს უხვევს ვილსონის მიერ ნათლად და გარკვეულად დასმულ საკითხს ზღვათა თავისუფლების და აგრეთვე ეკონომიური ომის შეუძლებლობის შესახებ. სწორედ ეს ორი მუხლია გერმანიისათვის ძვირფასი და ამის მიხედვით მიიღო მთავრობამ უცვლელად და სრულად ვილსონის წინადადება ეხება რა ელზას-ლორენის საკითხს. „ბერლ. ტაგ.“ სწერს: „გერმანიის მთავრობამ უკვე გამოსთქვა სურვილი 1871 წ. შეცდომა ვილსონის წინადადების მე-8 მუხლის თანახმად. ნორდკლიფის სიტყვით: ელზას-ლორენი იმ დროს სურვილის წინააღმდეგ იყო მოწყვეტილი საფრანგეთიდან, ცხადია მაშასადამე, ხალხის სურვილის თანახმად, უნდა გადასწყდეს დღეს აღნიშნული საკითხი და ამას შესძლებს კონფერენცია. ყოველ შემთხვევაში დოქტორ ვილსონის, მიერ 1918 წლის 4 ივნისს, ვაშინგტონის საფლავზე წარმოთქმული სიტყვის მეორე პუნქტში, რომელსაც თავის სამშვიდობო ნაბიჯები ემყარება გერმანიის მთავრობა, ნათქვამია: „ტერიტორიალურის, სუვერენობის, ეკონომიისა და პოლიტიკის საკითხები თვით ხალხის მიერ უნდა იქმნას გადაჭრილი“. ამით ვილსონი ნათლად ადასტურებს პლებისციტის საჭიროებას, ე. ი. იმ სახით საკითხის გადაჭრას, როგორც ეს აღიარებულ იქმნა ბერლინში 2 გიორგობისთვეს ელზას-ლოტარინგების მეოხებით. ლორდ ნორდკლიფის წინადადება, რომ გერმანულ-პოლონურ შერეულმა კომისიებმა დააწესონ პოლონეთის სამეფოს საზღვრები, „ბერლინერ ტაგებლატის“ საყურადღებოთ მიაჩნია იმ მოსაზრებით, რომ ნორდკლიფი ისე როგორც ვილსონი ფიქრობს, რომ ამ აზრის განხორციელებით დაცული იქნება ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი.

ამნაირად გერმანელი მოქალაქენი მათი სურვილის წინააღმდეგ არ (გაუგებარია) ახალ პოლონეთს. ავტორი ბოლოს ემყარება იმ ფაქტს, რომ ნორდკლიფის პოზიცია წყალ ქვეშა ნავის მიერ მიყენებულ ზარალის მნიშვნელობის საკითხში ხასიათდება... (გაუგებარია). მას სრულიად ავიწყდება იმავე დროს ის ზარალი, რომელიც გერმანიის მოქალაქეებს მიაყენეს მათი დაჭერის და მათი ქონების კონფისკაციის დროს საზღვარ გარეთ წინააღმდეგ საერთაშორისო უფლებისა. გერმანიის კოლონიების დაბრუნების შესახებ ნორდკლიფის უარი ვერ გამოიწვევს გაკვირვებას, რადგან ეს უკანასკნელი აკორდია გერმანიის კოლონიის, ადმინისტრაციის მოწინააღმდეგების, რომელიც ნორდკლიფმა რამოდენიმე კვირის წინად დაიწყო. ამას გარდა, ნორდკლიფი იმპერიალისტურ ტონით ლაპარაკობს, იგი უკმაყოფილოა მით რომ ინგლისი უკვე განუყოფელად ჰფლობს ერთს კონტინენტს ავსტრალიას და უნდა რომ მეორე კონტინენტი აფრიკაც ინგლისმა დაიპყროს. წერილი თავდება შენიშვნით რომ, თუ ნორდკლიფს ნაადრევად მიაჩნია ხალხთა ლიგის დაარსება, ახალი გერმანია მზათ არის ხალხთა ლიგის იდეის ჩქარა და საძირკვლიანად განვითარებისთვის.

## საზავო პირობათა შესახებ.

(გერმანულ პრესის ცნობა 4 გიორგობისთვე).

გერმანიასა და შეთანხმების სახელმწიფოების შორის ზავის პირობების შესახებ, რომელიც გამოქვეყნებულია მოწინააღმდეგისა და ნეიტრალურ პრესაში, ტრანსოკეანე ამბობს, რომ ცნობებს, რომელნიც ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან, გერმანიის პოლიტიკური ჯგუფები სინჯვენ როგორც საცდელად გადადგმულ ნაბიჯს. ამ გზით მათ უნდათ გაიგონ რამდენად შეუძლიათ მოთხოვნილების გაფართოება. ამ რამდონიმე დღის წინეთ სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა „ჰამბურგენ-ფრენდებლატი“, რომ გერმანიის ხელმძღვანელნი ამ ცნობებს მხოლოდ ზემო აღნიშნულ მნიშვნელობას აძლევენ. არ შეიძლება ითქვას დანამდვილებით ეს ცნობები ჩვენი მოწინააღმდეგე სახელმწიფოების პასუხის მგებელ წრეებიდან გამოდის თუ მხოლოდ დაინტერესებულ ჯგუფთაგან რომელთაც პსურთ, რომ ამ რიგად ერთგვარი გავლენა მოახდინონ თავის ქვეყნის მართველებზე.

## უცხოეთის ამბები

**თავისუფალი ყაზახობა.**

უკრაინის გეტმანის განკარგულებაში გადადებულ იქნა 100.000 მან. უკრაინის ყაზახთა ჯარის ორგანიზაციის მოსაწყობად.

**ებრაელების დარბევა.**

ვორონეჟში ებრაელების დარბევის დროს ებრაელების 60 დუქანი დაამტვრიეს და გაძარცვეს.

**ამერიკელები და იაპონელები ციმბირში.**

ბერლინის გაზეთებს პეტროგრადიდან ატყობინებენ, რომ ირკუტსკში იაპონიის კავალერია შევიდა. ქალაქი იაპონელების ხელშია და ადმინისტრაციაც მათ ემორჩილება.

ვლადივასტოკიდან იტყობინებიან, რომ ციმბირის რკინის გზების მმართველობა ამერიკელების ხელში გადავიდა.

ხობაროვსკიდან იტყობინებიან, რომ იქ მოეწყო იაპონიის ცენტრალური სამმართველო, რომელიც განაგებს მთელი ამურის ყველა საქმეებს. შეთანხმების სახელმწიფოებმა ამ მმართველობის საკანტროლოდ თავის წარმომადგენლები გაჰგზავნეს.

**ეკლესია რუსეთში**

მოსკოვის საბჭომ ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის დეკრეტის განსახორციელებლად შემდეგი წესები დაადგინა:

1) მართლმადიდებელ ეკლესიების მთელი ქონება მისი შემადგენლობის და ღირებულების გამოკვლევის შემდეგ გადადის მუშათა და წითელ ლაშქრელების დეპუტატების მოსკოვის საბჭოს განკარგულებასი.

2) ეკლესიის ქონების აღწერას ახდენს მუშ. და წითელ ლაშქ. დეპ. მოსკოვის საბჭოს იურიდიული განყოფილება სარაიონო საბჭოების თანადასწრებით, ქონების გაყოფა მოხდება შეთანხმებით იმ დაწესებულების რწმუნებულებთან, რომელთა განკარგულებაშიაც უნდა გადავიდეს ეკლესიის ყოფილი ქონების ესა თუ ის ნაწილი.

3) მართლმადიდებელ მონასტრების ქონების აღწერა ხდება თანახმად 1 ლა 2 მუხლისა, ხოლო გამონაკლისს შეადგენენ სტავროპიგიალური მონასტრები, რომელთა ქონების აღწერილობასაც ახდენს დამოუკიდებლად იურიდიული განყოფილება.

4) მორწმუნეთა განკარგულებაში გადაიცემა ეკლესიის შენობები, ბინები, ნივთები და სხვა საჭირო საგნები, რომელნიც აუცილებლად საჭირო კულტის შესასრულებლად და ეს გადაცემა მოხდება მოსკოვის მუშ. და წითელლაშქრ. დეპ. საბჭოს სახელით განსაკუთრებულ ხელშეკრულების თანახმად.

5) დანარჩენი ეკლესიების და სარწმუნოების საქმეები, გარდა რუსეთის აღმოსავლეთ კათოლიკური მართლმადიდებელ ეკლესიებისა, მოსკოვის საბჭოს იურიდიულ განყოფილების განკარგულებაში რჩებიან.

**იმპერატორ ვილჰელმის მანიფესტი.**

იმპერატორმა ვილჰელმმა 28 ღვინობისთვეს მანიფესტი გამოსცა, რომლითაც იგი ამტკიცებს რეიხსტაგის მიერ კონსტიტუციის ყველა მიღებულ ცვლილებებს და აცხადებს, რომ ძველი მმართველობის წესმა დიდი სარგებლობა მოუტანა გერმანიის ხალხს და თავისი ისტორიული როლი შეასრულა, რომელსაც დიდი მადლობით მოიხსენებს მომავალი თაობა. პოლიტიკური წყობილების შემდეგ საფეხურად კი არის მთელი სახელმწიფო უფლებების ხალხის ხელში გადაცემა, რომლის ნებასაც უნდა ემორჩილებოდეს ყველა პიროვნება. „მე ვეთანხმები რეიხსტაგის რეზოლიუციას და გადაწყვეტილი მაქვს დავეხმარო ამ დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას, ვინაიდან მრწამს, რომ ეს დახმარება იქნება გერმანიის საკეთილდღეოდ. იმპერატორის ხელმწიფება არის ხალხის სამსახური. დეე ახალმა წყობილებამ გაანთავისუფლოს ხალხისათვის ყველა საჭირო ძალები და ამუშაოს იმისათვის, რისთვისაც ჩვენი სახელმწიფოს მძიმე მდგომარეობის განცდა გვიჩვენებს, რომ ჩვენ შეგვიძლოს ბუნდოვან აწმყოდან ბრწყინვალე მომავალზე გადავიდეთ“.

**რუსეთ-გერმანეთის დამოკიდებულება**

**მოსკოვი.** 5 ნოემბ. სასწრაფო რადიო. ყველას, ყველას, ყველას. მოსკოვი, კრემლი № 228 და 136. 5 გიორგობისთვე. 21 საათს და 40 წ. ყველა სამხედრო კომისარებს, ლაშქრის უფროსებს, ყველა, ყველა საბჭოებს. გერმანიის მთავრობამ რუსეთის წარმომადგენლობას გერმანიაში რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობა დააბრალა და აგრეთვე ის, ვითომ მას არ სურდეს გრაფ მირბახის მკვლელების ლასჯა, და მოსთხოვა 24 საათის განმავლობაში გერმანიიდან გავიდნენ ბერლინში მყოფი რუსეთის ოფიციალური პირნი, და გერმანიის სხვა ნაწილებიდანაც 1 კვირის განმავლობაში, სანამ რუსეთის მთავრობა გერმანიის მთავრობას იმის გარანტიას არ მისცემს, რომ გერმანიაში ის შეუწყვეტს სარევოლუციო აგიტაციას და სანამ მირბახის მკვლელები და მკვლელობის მომწყობნი არ დაისჯებიან. ერთ და იმავე დროს ამავე ხანში გერმანიის ოფიციალურმა პირებმა უნდა მიატოვონ რუსეთი. თუმცა იმის ნიშნები არ არის, რომ მოსალოდნელია გერმანიის ჩვენზე თავდასხმა მაგრამ უნდა მოვემზადოთ. უეჭველად მოსალოდნელია თეთრ გვარდიელთა შემოტევა, რის წინააღმდეგაც დაუყოვნებლივ მიღებულ უნდა იქმნას ზომები. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი. სახ. კომ. საბ. თავმ. ლენინი. ც. ა. კ. თავმჯდომარე სვერდლოვი.

**სტამბოლი.**

(საუბარი რასულ-ზადესთან)

ამ დღეებში სტამბოლიდან დაბრუნდა მაჰმადიანთა დელეგაცია, რომელიც უნდა დასწრებოდა სტამბოლის კონფერენციას. დელეგაციის თავმჯდომარემ რასულ-ზადემ „კავ. სლ.“ თანამშრომელს გადასცა ზოგიერთი ცნობები სტამბოლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებიდან.

დელეგაცია სტამბოლიდან გამოვიდა 20 ღვინობისთვეს და გზაში ორი კვირა დაჰყო. იგი მოწამე გახდა თალათ ფაშის კაბინეტის გადადგომისა. და ახალ ლიბერალურ იზეთ-ფაშის კაბინეტის დაარსებისა. თავის პოლიტიკის ძირითად საფუძვლად ახალ კაბინეტმა დაუდო ეროვნულ უმცირესობათა თავისუფლება და არაბეთის ავტონომია, სახალიფოს შენარჩუნებით.

კაბინეტმა დაუყოვნებლივ გამოსცა პოლიტიკური ამნისტია და მრავალი სომეხი და არაბი დაუბრუნა მშობლიო კერას.

ჩვენ ვიყავით მოწამენი იმისა,— განაცხადა რასულ-ზადემ თუ ახალ მთავრობას როგორ უცხადებდა ყველა ნდობას. გარდა ბერძნის დეპუტატებისა, რომელთაც თავი შეიკავეს. სომეხთა წარმომადგენელმა არუთიუნიანმა თავის ვრცელ სიტყვაში მადლობა გამოუცხადა მთავრობას მისი პოლიტიკის ახალ მიმართულებისათვის. სხვათა შორის არუთიუნიანი შეეხო იმპერიის ძირითად კანონების გარდაქმნას, სახელდობრ, ომის და ზავის გამოცხადების უფლებების პარლამენტისთვის გადაცემას.

ეს უფლება რასაკვირველია სულთანს ეკუთვნის. იზეთ-ფაშამ პასუხად განაცხადა, რომ თუ ზავი ვილსონის პირობებზე იქნება და ხალხთა ლიგა დაარსდა, მაშინ არუთიუნიანის სურვილი, გინდაც ძირითადი კანონები არ იქმნეს შეცვლილი, სინამდვილეთ იქცევა მაინც, ჯერ კი სულთანის მთავრობას თავისუფლად უხდება მოქმედება ომის და ზავის საკითხებში.

ოსმალთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეებთან საუბრისას გამოირკვა ოსმალეთის მომავალი არაბეთის ჩამოჭრით. თუ არაბეთი მართლა ჩამოშორდა ოსმალეთის იმპერია შეიძლება დაიყოს, სამაგიეროდ მაშინ იქნება ნამდვილი ოსმალური სახელმწიფობრიობა, კომპაქტნური და მაშასადამე მტკიცე თვისი ეროვნულ ერთსულოვნობით. ოსმალეთის ახალ მთავრობას სურვილად აქვს მშვიდობიანათ გადაჭრას და მოარიგოს არა მარტო შინაური ეროვნული საკითხები არამედ კავკასიურიც. რადგან ოსმალეთის მთავრობა გულწრფელად

ეროვნული

დაინტერესებულია კავკასიელ ერთა დამოკიდებულებით. სეპარატიული ზავი ბულგარეთთან მეტად მოულოდნელი იყო და ცვლილებაც შეიტანა ოსმალთა პოლიტიკაში. ოსმალეთმა ამისობით მტკიცე ზომები მიიღო საზღვართა დასაცავად. ყველა საგაზეთო ცნობები, რომ ბულგარეთთან ზავის ჩამოგდების შემდეგ მისი საზღვრები დაიჭირეს ფრანგ-ინგლისელთა ჯარებმა, არ შეესაბამება სინამდვილეს და გამოწვეულია მის გამო, რომ ოსმალეთ-ბულგარეთის საზღვარზე მოვიდნენ მოკავშირეთა ლაშქრის წარმომადგენლები ბულგარეთის საზღვართა საწყობების შესამოწმებლად და გასასინჯად.

სტამბოლში სრული სიწყნარეა. გაზეთების ცნობები თითქოს იქ დემონსტრაციები მომხდარიყოს, ტყუილია. ხალხი მშვიდათ ელის საზავო მოლაპარაკების დასრულებას და მსოფლიო სასაფლაოს ლიკვიდაციას. იზრდება ახალ-ახალი კანონები, მკვირცხლად ვაჭრობენ საქონლით სავსე საგალანტერიო მაღაზიები. სურსათი ბლომადაა. მხოლოდ პური იყიდება ბარათებით, გირვანქა (შავი) 4 კაპ. თავისუფალ ვაჭრობაში კი თეთრი პური ჰღირს 2 მ. 50 კაპ. ხორცი საკმაოდ იშოვება და გაცილებით იაფადაც.—მახარებს მეტად—განაცხადა რასულზადემ,—მაჰმადიან ქალთა პროგრესი. ძველი კარჩაკეტილობა ახლა აღარც კი ახსოვთ. ოსმალოს ქალს ყველგან ჰნახავთ, ფაბრიკა-ქარხნებში, კანტორებში, ფოსტა-ტელეგრაფში და ბოლოს უნივერსიტეტების აუდიტორიები სავსეა მათით და ვინც ბლომად ესწრობა ლექცია-მოხსენებებს ესენი არიან—ოსმალო ქალები. (კავ. სლ.)

## საქართველოსთვის თავდადებული.

**(გერმანელი ოფიცერი პოდპ. ერნესტ ჰესენ-რეინფელსი).**

როდესაც მეფე ერეკლე შინაგან და გარეგან მტრებისაგან შევიწროებული რუსეთს შეეკრა 24 მკათათვის 1783 წ. ტრაქტატით, ეს მეტად საწყენად დარჩა ოსმალეთსა და სპარსეთს. ისინი ყოველივე ღონეს ხმარობდნენ, რომ რუსის ორიენტაციისათვის ხელი შეეშალათ და საქართველოში მათ ფეხი არ მოეკიდებინათ. ეს უფრო სპარსეთს ჰსურდა, რადგანაც ქართლ-კახეთში თავისუფალ თარეშობას იყო მიჩვეული. ამ მიზნით სპარსეთმა აამოძრავა მთელი საქართველოს მოსაზღვრე ლეკები და მიუსია საქართველოს.

თანახმად ზემოდ მოხსენებული ტრაქტატისა მეფე ერეკლემ რუსეთს დახმარება სთხოვა, რომელმაც თხოვნა აღასრულა და საქართველოში ჯარი გამოგზავნა. 1783 წ. 3 გიორგობისთვეს თბილისში ჩამოვიდა ბელორუსიისა და გორსკის ათასეულები ოთხი ზარბაზნით. მათ უფროსობდა პოლკოვნიკი ბურნაშევი.

შემდეგ წელს (1784 წ.) თბილისში მოვიდა გენერალი პოტიომკინი და თითონ გაეცნო აქაურ საქმეებს.

თბილისიდან წასვლისას პოტიომკინმა აქ გენერალი სამოილოვი დასტოვა და დაავალა მას მდ. ალაზნისაკენ გალაშქრებულიყო და ქართველ ჯართან ერთად ლეკთა ბრბოები სამუდამოდ აელაგმა—თანახმად მეფე ერეკლეს გეგმისა.

გარდა ამისა, პოტიომკინმა სამოილოვს თავის მცველებიდან კიდევ 180 ყაზახი რუსი დაუტოვა.

1784 წელს, ღვინობისთვის 14-ს, კახეთისაკენ გაემგზავრენ ქართველთა და რუსთა შეერთებული ჯარები.

მდ. ალაზანთან შეტაკება მოხდა ლეკებთან. უკანასკნელნი სიმამაცით იბრძოდნენ, მაგრამ იძლივნენ და ზარალით ივლტოდნენ.

ამ შეტაკების დროს დაიღუპა გერმანელი პრინცი **ერნესტ ჰესსენ-რეინფელსკი**, რომელიც ბრძოლის დროს მოწინავე რაზმს უფროსობდა.

პრინცი შორეული ნათესავი იყო იმპერატრიცა ეკატერინე მეორისა. ეკუთვნოდა გერმანიის ერთ-ერთ მთავართაგანს და 1783 წელს რუსის სამსახურში იქმნა ჩარიცხული პოდპოლკოვნიკის ჩინით. მას ჩააბარეს ყაბარდინის ეჰერთა ათასეული და კავკასიისაკენ დანიშნეს, რის მსურველი თითონაც იყო.

პრინცი ახალგაზრდა იყო, სულ 25 წლისა, კარგად განათლებული მშვენივრად აღზრდილი. მოვლილი ჰქონდა ბევრი ქვეყნის კუთხე, მშვენიერი მოლაპარაკე იყო და დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელებზე.

თბილისში ის პოტიომკინს ჩამოჰყვა და აქ თავის ნებით დარჩა.

აი როგორ დაიღუპა ეს ბრწყინვალე პიროვნება ლეკთა ბრძოლაში.

თბილისიდან მდ. ალაზნისაკენ გაეშურა მეფე ერეკლე თავისი საუკეთესო ცხენოსანთა ჯარით, რომელიც გამოჩენილი თავად აზნაურობისაგან შესდგებოდა. მასთან გენერალი სამოილოვის ჯარიც იყო.

ქართულ ქვეითა ჯარს ერთი დღით დააგვიანდა.

ალაზნის მახლობლად ერეკლემ ცნობა მიიღო, რომ განჯის სახანოდან უკან ბრუნდებოდა ლეკთა ძლიერი ჯარი, რომელთაც ალაზანზე გასვლა ჰსურდათ მუღანლინის ფონთან. ლეკთა ჯარს უნდოდა ალაზნის პირზე ტყე დაეჭირა და მერე ფონს გასულიყო. ეს მეფე ერეკლემ გაიგო და ამისათვის მოისურვა ალაზნის ტყის პირი თითონ დაეჭირა და ლეკებისათვის საშუალება არ მიეცა, ტყეში გამაგრებულიყვნენ.

ლეკის ჯარი ახლო იყო ტყეზე, სანამ მეფისა და ამისათვის უკანასკნელმა ველარ მოასწრო ტყის დაჭერა.

მაშინ მეფემ გადასწყვიტა, ტყე იერიშით აეღო, ამ მიზნით მან ლეკებს შეუტია ოთხასი ეგერთა ბათალიონის ჯარისკაცით. ჯარი ორ-ნაწილად იყო გაყოფილი და მათ პრინცი რეინფელსკი უფროსობდა.

პრინცმა შეუტია ლეკებს.

უკანასკნელნი ხევებზე ასულიყვნენ და იქიდან საშინლად უშენდნენ ტყვიას.

ცოტა ხნის ბრძოლის შემდეგ ლეკებმა უკან დაიხიეს და ტყის პირი რეინფელსკიმ ჩაიგდო ხელში. ტყეში შესვლა ძნელი იყო, რადგანაც ლეკები ძალზე გამაგრებულნი იყვნენ შიგ. ლეკის ჯარი დიდი იყო ტყეში, ამისათვის პრინცმა დახმარება სთხოვა გენერალ სამოილოვს. სანამ მაშველი ჯარი მოუვიდოდა პრინცი თავგანწირული იბრძოდა. ის ცხენზე იჯდა და ისე ახდენდა განკარგულებას. ახლობელნი მივარდნენ პრინცსა და სთხოვეს ცხენიდან ჩამომხტარიყო, რადგან ცხენზე ჯდომა ასეთ სასტიკ ბრძოლის დროს სახიფათო იყო.

პრინცს გაგონილი ჰქონდა ქართველი ჯარის ვაჟკაცობა და მამაცობა, თანაც გრძნობდა, რომ მის უკან თითონ გმირი მეფე ერეკლე იყო და ეს მას უფრო ამხნევებდა.

ამისათვის ცხენიდან ჩამოხტომაზე უარი სთქვა.

„ჩვენ მისთვისა ვართ უფროსები, რომ ყველამ დაგვინახოს, როგორც მტერმა ისე ჩვენებმა, დამალვა კი ვაჟკაცობა არ არისო“, ღიმილით უთხრა პრინცმა თავის მეგობრებს.

პრინცმა ვერ მოასწრო უკანასკნელი სიტყვის დათავება. ერთბაშად უნაგირში შეინძრა და უკან გადიზნიქა. მტრის ტყვია მას მხარში მოხვდა, გულში გაუარა და ზურგში გამოვიდა.

დაჭრილი პრინცი სასწრაფოდ გამოიტანეს ტყიდან და ჭრილობა შეუხვიეს.

ერეკლე მეფე ძლიერ დაალონა პრინცის დაჭრამ.

იგი ეკვეთა ლეკებს და ხუთი საათის ბრძოლის შემდეგ სასტიკად დაამარცხა და გაჰფანტა.

თბილისში ამ დროს ვიღაც მოღალატეებმა ცრუ ხმები გაავრცელეს: „ქართველ-რუსთა ჯარი ლეკებმა გასწყვიტეს, აფიცრები ტყვედ წაასხესო“. რა მოუვიდა მეფეს არავინ იცოდა. ქალაქში გლოვის ზარი იყო, სტიროდენ მოხუც გმირ ერეკლეს.

„თუ ჯარის დამარცხება მართალია, აღარც მეფეა ცოცხალიო“, გაიძახოდა დედოფალი. მისი დამშვიდება ძნელი იყო. დედოფალმა იცოდა თავისი გმირი ქმრის ხასიათი და დარწმუნებული იყო, რომ თუ მეფე ომს ასეთი დამარცხებით წააგებდა, ცოცხალი აღარ დასტოვებდა თავის თავს.

დედოფალი სასახლიდან გამოვარდა, ფეხშიშველა და ტანისამოს-შემოგლეჯილი სიონის ტაძარში გაიქცა. იქ მას კარებთან ერეკლეს შიკრიკი დაეწია და წერილი გადასცა. მეფე დედოფალს ბრწყინვალე გამარჯვებას ულოცავდა. მხოლოდ დიდ მწუხარებას გამოსთქვამდა პრინც რეინფელსკის დაჭრის გამო. რამდენად სასიხარულო იყო დედოფლისათვის მეფის გამარჯვების ამბავი, იმდენად გულსატკენი შეიქმნა პრინცის დაჭრა. წერილში დიდათ აფასებდა ერეკლე პრინცის გმირობასა და თავდადებულობას.

ჩქარა მთელ თბილისს მოედო ლეკთა დამარცხების ამბავი. მთელმა ქალაქმა სასახლესთან მოიყარა თავი და დედოფალს სთხოვდა გარედ გამობრძანებულიყო. დედოფალი ძვირფას ტანისამოსში გამოწყობილი გამობრძანდა და ხალხს ერეკლეს წერილი წაუკითხა, რამაც საერთო აღფრთოვანება გამოიწვია.

20 ღვინობისთვეს გამარჯვებული ჯარი თბილისში დაბრუნდა. მათ წინ მოხუცი გმირი ერეკლე მოუძღოდა. ყველა ეკლესიებში განუწყვეტლივ ზარების რეკა იყო და მეტეხიდან ზარბაზნების სროლა.

მეფე სიონში მოვიდა სადაც კათალიკოზი და წარჩინებულნი დახვდნენ და პარაკლისი გადაიხადეს.

დაჭრილი პრინცი კახეთში დასტოვა მეფემ. რადგანაც მძიმე ჭრილობის გამო მისი ადგილიდან დაძვრა არ შეიძლებოდა.

პრინცმა ჭრილობას ველარ გაუძლო და 19 ღვინობისთვეს გარდაიცვალა. მიცვალებულის გვამი დიდის ამბვით გადმოასვენეს თბილისში და მეფისა და სხვა წარჩინებულთა დასწრებით დაასაფლავეს.

პლატონ იოსელიანის თქმით, პრინცი დასაფლავებულია ფრანგების ეკლესიაში, რომელიც ფრანგების მოედანზე იყო. ეხლა ეს ეკლესია აღარ არსებობს, ის გაყიდულია კერძო პირებზე, და მის ნანგრევებზე აშენებულია კერძო სატრანსპორტო კონტორა.

ასე დავიწყებული და მიგდებულია იმ გმირის საფლავი, რომელმაც თავისი ახალგაზრდობა შესწირა ქართველი ერის თავისუფლებას.

**ივ. აბესაძე.**

## რუსები სომხეთში

ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოში მოხსენება წარადგინა ერევნის და განჯის გუბერნიების ამ საბჭოს განყოფილების თავმჯდომარემ.

მომხსენებლის გადმოცემით ყველაზე უფრო საძნელო საქმე ამ გუბერნიებში მცხოვრებ რუსებისთვის სურსათის საკითხია. მისი სიტყვით, ადერბეიჯანის მთავრობამ აღუთქვა რუსებს ოცი ათასი ფუთი ხორბალის გადაცვლა ქართოფილზე, მაგრამ სომხეთის მთავრობამ ქართოფილის გატანის ნება არ მისცა, ვინაიდან ჩვენ თითონ მოგცემთ პურს ქართოფილის ნაცვლადო.

20 ენკენისთვეს, სომეხთა რესპუბლიკის სასურსათო კომისარმა აღვითქვა 3,200 ფუთი პური, მაგრამ დღემდე დაპირება შესრულებული არ არის. საზოგადოთ, სასურსათო საქმეში სომხეთის რესპუბლიკაში რაღაც არევ-დარევას აქვს ადგილი. მთავრობას ზოგი რამ შეუძლია ჩამოართვას ხალხს, მაგრამ საეჭვოა, რომ რაიმე მისცეს. რეკვიზიციის წინააღმდეგ პროტესტს არავინ ყურადღებას არ აქცევს. სომხეთის მთავრობა ყველას ერთნაირად ექცევა,—როგორც რუსებს, ისე სომხებს. სომხეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ თათრებს საკუთარი მილიცია და ბოქაულები ჰყავთ, სომხის ადმინისტრაცია კი ცდილობს ეს არ შეამჩნიოს. გლეხებს ართმევენ რეკვიზიციის სახით თივას. მათი ინტერესები კი მხედველობაში არ არის მიღებული. სიტყვით სომხეთის მთავრობა მეტის-მეტ გულკეთილობას იჩენს, მაგრამ საქმით სულ სხვა გამოდის. დაპირებანი დაპირებათვე რჩება, პრაქტიკულად არაფერი არ ხორციელდება „უჩასტკების“ უფროსები ძველი რეჟიმის დროის ბოქაულები არიან. ისინი ხშირად ფიზიკურ ძალას მიჰმართავენ არა მარტო ჩვეულებრივ მოქალაქეთა, არამედ—თანამდებობის, საზოგადოებათა მიერ არჩეული მოსამსახურე პირთა წინააღმდეგაც. რუსი გლეხები მეტად უკმაყოფილონი არიან ასეთი მდგომარეობით, ყველანი რუსეთისაკენ მიისწრაფიან. (ტ. ლ.).

## გლაუბერის მარილი

„საქ. რესპუბლიკის“ № 84 იუწყება:

ვაჭრობა-მრეწველობის და ფინანსთა მინისტრმა აცნობა მიწათ-მოქმედების მინისტრს, რომ თბ. მაზრაში აზამბურის მიდამოებში მდებარეობს გლაუბერის მარილის მადანი, რომელიც ს. სართიჭალიდან ხ. ვერსის მანძილზეა. მადანი 1883 წელს აღმოაჩინეს ძმ. კაპანაძეებმა, მაგრამ დღემდე არ დამუშავებულა. ამ მადნის დამუშავება საქართველოს რესპუბლიკას ფრიად დიდ ბაზარს გაუჩენს ნამეტნავად ბაქოს ნავთის წარმოებისათვის. სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად და ექსპლოატაციის დროზე დასაწყებად ეს მადანი იჯარით გადაეცათ ინჟ.-ტეხნ. ი. პ. ბურჯანაძის მეთაურობით შემდგარ ამხანაგობას. მაგრამ, ვინაიდან ეს მადანი სახელმწიფო მიწებშია მოქცეული ფინანსთა მინისტრი სთხოვს მიწათ-მოქმედების მინისტრს, ვიდრე ეს მამული სახელმწიფოს გამგებლობაში გადმოვიდოდეს ნება დართოს ამ ამხანაგობას დაიწყონ მუშაობა ამ მადნებში“.

საჭიროა აქვე აღვნიშნოთ, რომ არა მარტო აზამბურშია გლაუბერის მარილი, არამედ უფრო მეტია ს. პატარძეულის, ხაშმის, სართიჭალის, უჯარმის და ახალ-სოფლის მინდვრებში და მაღაროებში. ს. მუხროვანში ინჟ. ბახმეტევმა 30 წელიწადია რაც დაარსა გლაუბერის მარილის ქარხანა. ზემოაღნიშნულ ადგილებში გლაუბერის მარილით ადგილი მთლად შეთეთრილია. მივაქცევთ მიწათმოქმედების სამინისტროს ყურადღებას, რომ აქეთ მრავალ ადგილას სჩანს ნავთი და სხვა მადანი. ამ 4 წლის წინედ აქეთ სამგზით დადიოდნენ პეტროგრადის პროფესორების ხელმძღვანელობით ექსკურსანტები და სტუდენტები.

ამ ადგილებს დიდი მნიშვნელობა ეძლევათ და საჭიროა მთავრობის სათანადო ყურადღება.

**გ. ლ.**

## სახელმწიფოს მძარცველები.

საზოგადოებაში უკმაყოფილობის ხმა გაისმის: „ჩვენ ჯარს ტანსაცმელი არა აქვს“, მშიერია და სხ. არც გასაკვირველია თუ მართლად ასეა. ისეთ ქვეყანაში, სადაც ასეთი მძარცველები მოეპოვება სახელმწიფოს, როგორც ჩვენში, ადვილი შესაძლებელია არამც თუ ჯარისკაცი, არამედ სახელმწიფოც დაიმშევა. ვინც დღევანდელ ჩვენ ცხოვრებას დაჰკვირვებია ის უეჭველად ბევრ საზიზღარ საქციელს ნახავდა და გაიგებდა: ეს და ეს X-ი თუ №-ი მსახურობს ჯარისკაცად: „გაისო, ოჯახი აავსო დოვლათით“, მაგრამ ვისის დოვლათით—აშკარაა—სახელმწიფო ქონებით. ქურდობენ, უჩუმრად ანიავებენ სახაზინო ქონებას. სამწუხაროდ ეს ითქმის არა მარტო გაუნათლებელ ელემენტებზე, „ინტელიგენტებზედაც“. ჩვენ, რასაკვირველია, აქ მხედველობაში არა გვყავს ჩვენი ახალგაზრდობის ან ინტელიგენციის თუ ჯარისკაცთა, აგრეთვე ოფიცერთა უმრავლესობა, მაგრამ ზოგიერთ პატიოსან და სინდისიერ ხალხთან ერთად—ბევრი უსინდისოც ურევია და აი მათ, თავიანთი პირადი ინტერესების გულისათვის, ყოველ სიმდაბლეს კისრულობენ და უჩუმრად ქურდავენ სახელმწიფოს. მთელი სოფლები და ქალაქები მოდებულია ვაჭარი ხალხით და უმეტესად რას ჰყიდიან? ჯარისკაცის ტანსაცმელს, სამხედრო საჭირო საგნებს და სხვას. სახელმწიფოს ასეთი მძარცველები არიან — სახელმწიფოს მოღალატენი და როგორც ასეთნი უნდა სასტიკად დასჯილ იქმნან.

**ვ. გარრიკი.**

## კორესპონდენცია

### ს. ბაკურციხე

წლეულ აქ როგორც პურის ისე ღვინის მოსავალი კარგი იყო. ღვინო საპალნე ფასობს 2000 მან. საერთოდ ჭირნახული მეტად ბევრი მოუვიდა ჩვენ გლეხს. ნივთიერი მხრით ძალიან წამოიწია. სკივრები ფულით გაავსო, ბეღელი პურით და მარანი ღვინით. ყოველი მხრით გლეხი დღეს დაკმაყოფილებულია. მას მხოლოდ ერთად-ერთი რამ აწუხებს. როგორც ბაკურციხეში ისე ახლო-მახლო სოფლებში დიდი ავადმყოფობაა. აქაც გადმოვარდა ახალი ავადმყოფობა „ისპანკა“ და დიდძალ მსხვერპლს იწირავს. დღე ისე არ გავა, რომ თითო სოფელში ექვსი-შვიდი სული არ მოკვდეს. სოფელი ცის ანაბარას არის მიტოვებული. გულშემატკივნელი არავინა ჰყავს. გარს მხოლოდ ჩარჩი და მყვლეფავი ხალხი ახვევია. ამას გარდა აღსანიშნავია ჩვენი ზოგიერთი ექიმების თავგასულობა. პირდაპირ ტყავს აძრობენ ხალხს. ზოგს თან ხურჯინები დააქვს და ფულის მაგივრად ფქვილსართმევენ ხალხს. აღარ იციან რი-ი და როგორ გაყვლიფონ მცხოვრებნი. კულტურულად მეტად ჩამორჩენილია ეს სოფელი. შეუგნებელი და ბრიყვი ხალხია მეტად. განსაკუთრებით ეხლა ზოგიერთ სოფლების ზეგავლენით, მაგალითად სოფ. კარდანახის, აქაც დაიწყეს ქურდობა. ამას წინად დაეცნენ ორჯერ აფხაზის ოჯახს და გაიტაცეს ნივთეულობა რაც კი რამ ებადათ. ისე გზაში თავისუფლად ვერ გაგივლია—ან გაგძარცვავენ, ან მოგკლავენ. სოფელი მეტად უნუგეშო სურათს წარმოადგენს.

**ვინმე.**

## თეატრი და მუსიკა

**სახალხო სახლი.** დღეს 8 გიორგობისთვეს სახალხო სახლთან ქართულ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ქრისტინე“.

რედაქტორი **გიორგი ქიქოძე.**


## განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

**თბილისიდან გადის**

| | | | საათი | წ. |
|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | | 7 | 50 |
| „ | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9/10 | სალამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| „ | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4/30 | დღის | 1 | — |

**თბილისში მოვა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთიდან | № 24 | შუად. | 12 | 47 |
| „ | № 4 | სალამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | სალამ. | 4 | 30 |
| „ | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 40/3 | დილის | 11 | — |

თბილისის დროით.

## პერძო სამკურნალო

ი. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:

**გ. მ. რეკვავა**—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.

**მ. მ. ტყემალაძე**—კანის და ვენერიულ... 607—914 ... ლიხ) 11—12 ს.

**ი. ა. ლაზარევი**—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

**ნ. თ. ანდრონიკაშვილი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

**ა. დ. ალექსიძე**—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

**მ. ნ. იმხნელი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 46 ს.

**ს. გ. ჯაფარიძე**—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

**ი. ა. ხათრიძე**—ბაქტერიოლოგი სამკურნალოს ლაბორატორიისა, სადაც შეიძლება ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვ.), ელექტრიზაცია, მასსაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა, № 9, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—49.

სამკურნალოს დირექტორი ექიმი **ა. დ. ალექსიძე.**

ახლად მოწყობილი სტამბა

## ხელოვნება

**(ველიამინოვის ქუჩა № 20)**

ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. გამოცდილ მუშათა ინიციატორობით საქმეებს ასრულებს: სწრაფად, პირნათლად და დიდათ დაკლებულ ფასებში.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

ალ. ასათიანის ნაწერი

## მიწის საკითხი საქართველოში

წინასწარი დაკვეთა შეიძლება „საქართველოს“ რედაქციაში.

(10—10)

ექიმი

## ნიკ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად.

თ.—1536—50

ქალ. ქუთაისში

მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა

**ქირ. და ქალთა სნეულების**

## საავადმყოფო

**სამშობიარო განყოფილებ.**

მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. 15—1739—11

სამკურნალო კაბინეთი ექიმის

**ალექსანდრე დავითის ძე**

## კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

## სამკურნალო

**უთავდებარ ავადმყოფთათვის ექიმ ი. მ. მძინარიშვილის და დ. მ. ნაზარეთიანცის**

საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

**ვენერიულ** ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

**ღარიბები** მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

მედიცინის დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტისა

## გ. გ. მეგრაბიანცი

**ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.**

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

გაიხსნა

## თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

## ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ტელეფონი 5—97.

ექიმი

## გ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბოშონდის“ ახლოს.

დოქტორი მედიცინისა

მთავ. ხეთიშვილის ძე

## კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.


სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაზაევის შესახვევი № 1.